ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 15 (42)

აგვისტო 1991



ეს აღმაშფოთებელი ფაქტი თბილისის უნივერსიტეტის თეთრ კედლებში მოხდა. ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითი გამოცდის დროს ლამის მთელი კომისია, თავმჯდომარის, ქ. დანელიას მეთაურობით, ჩუმად, მიპარვით დაეხსა თავს შუა (გადა)წერაში პატიოსნად ჩაფლულ აბიტურიენტ ბ. ბ-ს და არცთუ თავაზიანად აართვა საგამოცდო „პატრონტაში“. (ვინ თქვა, თითქოს ჩვენს აბიტურიენტებს ფანტაზია, შრომისმოყვარეობა და გამძლეობა აკლიათ — ჯერ ამგვარი „პატრონტაშის“ (იხ. ფოტო) გამოგონება იკითხეთ, შემდეგ, საკუთარი ხელით წვრილ-წვრილად ჩამოწიკწიკებული 80 თემით მისი დატენვა, და, რაც მთავარია, ამ სიცხეში პერანგის ქვეშ შემოცმა!)

იმედია, კომისიის ეს აღმაშფოთებელი და ანტიჰუმანური ქმედება მთელი ჩვენი საზოგადოების ფართო მსჯელობის საგანი გახდება!

# მაფია გუშინ, დღეს... ხვალ?

თითოეულ ადამიანს მეტნაკლებად თავისი არსებობისათვის საშემოქმედო ამპლიტუდა გააჩნია, უფრო სწორად თავისი უნარის მიხედვით თვითონ ქმნის მას. ბუნება თავისას აკეთებს მცენარის თესლი აქ განაგრძობს სიცოცხლეს, სადაც მას განგებამ მიუჩინა ადგილი; მას ძალუძს ასფალტის ფენა გაარღვიოს და ამოცენდეს.

არავითარ ძალას არ შეუძლია ჩაკლას ადამიანის შემოქმედებითი უნარი, ის უნარი, რაც ხელისუფლებისაგან დაკანონებულზე უკეთეს კეთილდღეობას მოუტანს. სწორედ ბუნების ამ კანონმა წარმოშვა იმპერიის სხეულში ჩრდილოვანი ეკონომიკა, რომელსაც შემდგომში პარტოკრატია და ბიუროკრატია დაეპატრონა.

პარტოკრატიისა და ბიუროკრატიის მიერ ჩრდილოვანი ეკონომიკის მოდერნიზაციამ დაამკვიდრა ზესახელმწიფოებრივი ყოვლისშემძლე მაფია, რომელმაც თავის კონტროლს და მართვას დაუქვემდებარა ყოველგვარი ურთიერთობანი ადამიანების, საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის. ამიერიდან სახელმწიფო მაფია საბჭოთა ხელისუფლების სინონიმად იქცა.

საქართველოში გაბატონებული მაფია არაფრით არ ჩამოუვარდებოდა, თუ არ აღემატებოდა, იმპერიის მეტროპოლიასა და კოლონიებში მოქმედ მაფიებს. დღეს, სარწმუნო წყაროების მიხედვით, საქართველოს შემნახველი ბანკის სალაროებში ინახება რვა მილიარდი მანეთი ანაბრების სახით, ხოლო ერთი ამდენი მიმოქცევიდანაა ამოღებული და უჩინარ ქისებში შენახული. ამას დაუმატეთ სამპროცენტიანი ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები. მაგრამ არსებობს რაიმე საზომი, უფრო სწორად იმის გაზომვის საშუალება, თუ რა ღირებულების ოქრო და თვალმარგალიტი ინახება მაფიოზის კომფორტაბელური სასახლეების სამალავებში?

ნუ მოვიტყუებთ თავს თითქოს ზემოხსენებული 16 მილიარდი მანეთი საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს ეკუთვნის. ჩვენს სინამდვილეში არ არსებობდა (და არც ამჟამად არსებობს) ხელფასის ისეთი დონე, რომ ადამიანებს შეძლებოდათ მნიშვნელოვანი დანაზოგი ჰქონოდათ, ან საკარმიდამო ნაკვეთებით და კერძო მეურნეობებით მიეღოთ მნიშვნელოვანი თანხა. უდიდესი თანხა — მთელი 16 მილიარდის 80-90% მაფიის განკარგულებაში, რომლის რიცხვი ალბათ მოსახლეობის ერთ პროცენტსაც კი არ მიაღწევს.

მე არ შევუდგები მაფიის ჭეშმარიტი სახის წარმოდგენას (ამაზე უამრავი ტომი დაიწერებოდა), მე შევეცდები მოკლედ წარმოვსახო მისი არსი და მომაკვდინებელი როლი საზოგადოების დაცემაში; მაფია ეს არის არაადამიანური, ელემენტარულ ჰუმანურობას მოკლებული სისხლისმწოველი მტაცებელი, რომლის მსგავსი შეიძლება შუა საუკუნეებისა და უფრო ადრინდელი ეპოქის ტირანთა გალერეაში ვეძებოთ.

მაფიამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ინფლაციის კატასტროფულ ზრდაში. ჩრდილოვანი ეკონომიკის მექანიზმი, რასაც ეყრდნობა მაფიის არსებობა, აგებულია აღურიცხავი დოვლათის წარმოებაზე და მისი შედეგის მითვისებაზე, უხაქონლო ოპერაციებზე და სხვა კომბინაციებზე, რასაც ხელს უწყობს იმპერიულ-აბსურდული ფასების სისტემა. აღურიცხავი დოვლათის წარმოების სფეროებია მეურნეობის ის დარგები, რომელთა პროდუქციის სარეალიზაციო ფასში ჩადებულია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ძირითადი წყარო — ბრუნვის გადასახადი, (იგი ბიუჯეტის შემოსავლის 50%-ს აღემატება) და მოგება, რაც ბრუნვის გადასახადის შემდეგ მეორე ადგილზეა ბიუჯეტში ანარიცხის წყაროს მნიშვნელობით.

ბიუჯეტის შემოსავლების ამ ორი წყაროს მითვისებით საზრდოობს ჩრდილოვანი ეკონომიკა. იგი განსახლებულია წარმოების „ბ" ჯგუფის — მოხმარების საშუალებათა წარმოების დარგებში: სახალხო მოხმარების საგნების, სოფლის მეურნეობის, აგრეთვე მრეწველობის იმ დარგების სხეულში. სავარაუდო მონაცემებით, (რაც საზოგადოებაში გავრცელებულ აზრს ეყრდნობა) აღურიცხავი წარმოების ხვედრითი წილი მთელს წარმოებაში 35-40%-ს აღწევს და შესაბამისად რეალიზაციის შედეგად მოსახლეობიდან ამონაგები თანხების განაწილება სახელმწიფო და ჩრდილოვანი ეკონომიკის ბიუჯეტებს შორის ამ პროპორციით წარიმართება.

მიმოქცევიდან, ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი თანხების ამოღება განაპირობებდა ემისიის აუცილებლობას, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად ინფლაციის უფსკრულისაკენ მიაქანებდა საბაზრო ურთიერთობებს და მთელ საზოგადოებას. ამასთან ერთად მაფია, საბაზრო კანონებიდან გამომდინარე, გადამწყვეტ როლს თამაშობდა კონიუნქტურაში; საკოლმეურნეო ბაზრებზე და ყველგან — თავისუფალი ფასების ბატონობის სფეროში, იგი აუქციონის მონოპოლისტის — ყველაზე მაღალი ფასის გადამხდელის უპირატესობით ფასების ბარომეტრს უბიძგებდა უსასრულობისაკენ და ამ სფეროებიდან სდევნიდა მათხოვრული ხელფასის ამარა დარჩენილ ადამიანებს, მოსახლეობის უდიდეს ნაწილს — 70-80 პროცენტს, განწირულს შიმშილისა და უბადრუკი არსებობისათვის.

მაფიამ მილიცია, პროკურატურა და სასამართლო სახელმწიფო სამართალდამცავიდან, საკუთარ დაცვად გადააქცია. ამიერიდან ჩინოვნიკების ეს მრისხანე კოჰორტა თემიდას ხალხის წინააღმდეგ მიმართავდა, იმ ხალხის წინააღმდეგ ვინც სამართალს დაეძებდა. ხოლო თუ მაფიის რომელიმე კლანი გახმაურებულ, მასშტაბურ სკანდალში მოჰყვებოდა, უეჭველად გამოჰყავდათ იქიდან და მის წილ მახვილს ამ საქმეში გარეულ უცხო მოდგმის არამზადას აძგერებდნენ, რათა სხვებისათვის ჭკუა ესწავლებინათ.

სამედიცინო, საყოფაცხოვრებო და ყველა სხვა სახის მომსახურების სფეროებში მაფია ნერგავდა დაკანონებული და დაუკანონებელი საფასურების ზევით მომსახურების დაჯილდოების ტრადიციებს, რაც მოსახლეობის უდიდეს ნაწილს უზღუდავდა ამ მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობას, ან უკეთეს შემთხვევაში უუარესებდა მის ხარისხს.

მაფია ყიდულობდა ყველა სარფიან და კეთილდღეობის უზრუნველმყოფ ადგილებს პარტიისა და სახელმწიფოს მართვის აპარატში, სხვა სამსახურებში; სდევნიდა რა იქიდან წესიერ ადამიანებს, მოაზროვნეებს, პროფესიონალებს. უმეცრებაზე დამყნილი ამბიციებით და უზნეობით ახდენდა სახელმწიფო აპარატისა და მმართველობის გახრწნას, რაც საპასუხოდ მოსახლეობის სიძულვილს იწვევდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მაფიის დამღუპველი როლი საზოგადოების ინტელექტუალურ განვითარებაში, რისი შედეგიც ხანგრძლივი დროით დააჩნდება საზოგადოების ზნეობას, პროფესიონალიზმს და შრომისმოყვარეობას;

მაფიას არაფრად უღირდა ასიათასობით მანეთი გაეღო ნებივრობასა და უზნეობაში გამოჩეკილი უკეთური შთამომავლობის უმაღლეს სასწავლებელში მოსაწყობად, რის შედეგადაც ნიჭიერი ახალგაზრდობა — ერის მომავალი ინტელექტი — რჩებოდა სასწავლებლის გარეთ, ხოლო მეორეს მხრივ ქვეყნის წმიდა ტაძარი — ერის ინტელექტი ნაგვიანდებოდა უკეთურებით.

მაგრამ ყველაზე დიდი ბოროტება მაინც ის იყო (და კვლავ არის), რომ მაფიის ბუნაგებში სატანას გამოჰყავდა უზნეოთა და უკეთურთა მოდგმა, მკვლელები და ნარკომანები, რაც მრავალთავიანი ურჩხულის საცეცებით რყვნიდა ერის სიწმინდის წყაროს სათავეებს.

სახელმწიფო მაფიის ბატონობამ, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 70-იან წლებში, თავისი არსებობა შეწყვიტა მას შემდეგ, რაც პარლამენტში ეროვნული ძალები მოვიდნენ. მაგრამ თავისი ძალმოსილება მას არ დაუკარგავს. მაფიას, როგორც სახელმწიფოს მიერ მოდერნიზებულ სისტემას, როგორც ორგანულ სხეულს, ეროვნული ძალების მოსვლამ პარლამენტში და კომუნისტური ტირანიის დამხობამ, ხერხემალი გადაუმსხვრია, მაგრამ ჩრდილოვანი ეკონომიკა, რომელმაც ავტონომიის თვისებით მოიცვა სხეულის პარაზიტული ნაწილი — პარტოკრატია, არსებული კონიუნქტურის ფარგლებში კვლავაც აგრძელებს არსებობას და იარსებებს მანამ, ვიდრე არ განხორციელდება სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაცია. ამჟამად ქვეყნის ეკონომიკის მართვა კვლავ მაფიის ხელშია და როცა ვლაპარაკობთ საბჭოთა სტრუქტურების სიცოცხლისუნარიანობაზე, უნებურად მაფიას ვგულისხმობთ. [illegible] არის გამორიცხული ჩრდილოვანი ეკონომიკის ელემენტების არსებობა პრივატიზაციის შემდეგაც, ვთქვათ სახელმწიფო გადასახადებისაგან შემოსავლების არიდება-გადამალვის და სხვა სახით, მაგრამ ასეთი გამოვლინებები გაცილებით ადვილად იქნება დაძლეული სახელმწიფო აპარატის მიერ.

ამრიგად, როცა ნათელი გახდა მაფიისა და თვით ჩრდილოვანი ეკონომიკის დამღუპველი როლი ფართო საზოგადოების კეთილდღეობისა და მომავლისათვის. ეროვნული ხელისუფლებისა და მთელი ერის ბრძოლის უპირველეს სამიზნედ ჩრდილოვანი ეკონომიკა უნდა იქცეს. ჩრდილოვან ეკონომიკას, რომელიც ძარცვავდა კომუნისტური სახელმწიფოს ბიუჯეტს, ამჟამად ეროვნული ბიუჯეტის ძარცვა ერის ღალატად უნდა ჩაეთვალოს. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. რადგან სხვა თუ არაფერი, მისი არსებობა თავისი ბუნებით თავისთავად განაპირობებს არა მხოლოდ ქონებრივი უთანაბრობის პოლარიზაციას, არამედ ახალი ყოვლისშემძლე მაფიის დაბადებასაც. საზოგადოებამ უნდა იფიქროს თუ რა დამანგრეველი ძალა აქვს მის არსებობას: თუ კომუნისტურმა დიქტატურამ პოლიტიკურად ჩაკლა პიროვნება და მისი ღირებულება ერთუჯრედიანი ამების დონეზე დაიყვანა, ჩრდილოვანმა ეკონომიკამ თავისი შხამით გახრწნა თვით დიქტატურაც კი, თუკი დიქტატურის გახრწნა საერთოდ შეიძლებოდა, ადამიანები აქცია მონა-პირუტყვებად, დასცა ზნეობა, თვით სოციალიზმის ბრიყვული იდეალი — გათანაბრება — არარაობად აქცია, გააჩანაგა რა სახელმწიფო ეკონომიკა და ქვეყანა ფინანსური კრახის წინაშე დააყენა, მოსპო სოციალურად ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობის ის უღიმღამო გარანტიებიც კი, რაც არსებობდა.

ერთი სიტყვით, მაფიამ და ჩრდილოვანმა ეკონომიკამ საქართველოს არანაკლები ზიანი მოუტანა, ვიდრე არაბმა, სპარსმა, მონღოლმა, დიდმა თურქობამ და დიდმა რუსობამ ერთად. მაფია ეს არის ფაშიზმი ეკონომიკაში, უფრო ძლიერი, ვიდრე ფაშიზმი პოლიტიკაში.

**აკაკი მუხურაძე**

საქართველოს არენდატორთა, აქციონერთა და თავისუფალ მეწარმეთა რესპუბლიკური კავშირის ვიცე-პრეზიდენტი.

# ...რთი სცენარით

20 ივლისს სოხუმსა და 21 ივლისს თბილისში საბჭოთა არმიის ჯარისკაცებმა მოაწყვეს კიდევ ერთი „მასობრივ-სანახაობრივი" რბევა. სოხუმში მათ პოლიგონად იქცა ჩელუსკინელების სახელობის ტურბაზის ტერიტორია, თბილისში — მტკვრის სანაპირო ზოლი.

თავაწყვეტილმა ბარბაროსებმა ამჯერად ქამრებით, და რკინის წკეპლებით სცემეს ადამიანები, დაამსხვრიეს რამდენიმე ავტომობილი, დაარბიეს მოქალაქეთა ბინები...

ოფიცერ-პრაპორშიკები (სოხუმში) და საარტილერიო სასწავლებლის კურსანტები (თბილისში) საერთო სცენარის მიხედვით რომ მოქმედებდნენ და არა თვითნებურად, ამას ადასტურებს რამდენიმე ფაქტი: სოხუმშიც და თბილისშიც სამხედროები მთვრალები იყვნენ (ეს ნაცნობი შტრიხია: საბჭოთა ჯარისკაცი მამაცია მაშინ, როცა აღგზნებულია); ოპერაციის დაწყების დრო და ადგილი. ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებასაც, რომ ივლისი სოხუმის ტრაგედიის თარიღია; იქაც და აქაც მოთარეშენი ლანძღავდნენ ქართველ ერს, განსაკუთრებით ემუქრებოდნენ ქართველებს. განურჩევლად სცემდნენ დიდ-პატარას. ასე მაგალითად, სოხუმში გალახეს ორი ქალი, თბილისშიც ძირითადად ბავშვები დაზარალდნენ; სოხუმში სადესანტო-მოიერიშე ბატალიონის ოფიცრებმა და პრაპორშიკებმა გამოიწვიეს კონფლიქტი, თბილისში — საარტილერიო სასწავლებლის კურსანტებმა, ანუ იგივე მომავალმა ოფიცრებმა, რაც ჩვენთვის „დიდი პატივია". შესაძლოა, ეს მათი სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული „საწარმოო პრაქტიკაც" იყო. იქნება, მომავალ „კამანდირებს" სასიკეთოდ წაადგებათ თბილისის ქუჩებში მიღებული საბრძოლო წრთობა სხვა ურჩი რესპუბლიკების დარბევა-დაწიოკებაში.

აი, ასეთი გახლავთ ჩვენი აზრით სცენარი, რომელიც განახორციელეს სამხედროებმა თბილისსა და სოხუმში. ბოლო თუ სად იქმნება ასეთი სცენარები და ვინ არის მათი ავტორი, ვფიქრობთ, მკითხველს არ გაუჭირდება ამის გამოცნობა.

თბილისში, ღამით, მთვრალმა კურსანტებმა პირველი იერიში სანაპიროს გასწვრივ მდებარე ბენზინის გასამართავ სადგურზე მიიტანეს... მოდით, ვცადოთ და წარმოსახვით აღვადგინოთ ის ღამე აღნიშნულ სადგურზე.

უბენზინობის გამო, ყოველდღიურად ათასობით ადამიანი ათენ-აღამებს ქუჩაში და ცის გახსნასავით მოელის საწვავის გამოჩენას. ხან სძინავთ, ხან ჩხუბობენ, ხან საუბრით ირთობენ თავს. საუბრით კი რაზე საუბრობენ ერთად შეყრილი მამაკაცები? რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, საკუთარ ვაჟკაცობა-მამაცობასა და საგმირო-სარაინდო თავგადასავლებს ჰყვებიან. ნაუბრიდან კი ყოველთვის ერთი რამე ირკვევა: ყველანი რაღაც განსაკუთრებულნი ვართ! გამორჩევით კი მაინც სამხედრო წარსულით გვიყვარს ტრაბახი და თავის მოწონება. აქ მთლად სასწაულებს ვახდენთ: ვარშიყობთ გენერლის ცოლებს, ფეხებით ხეზე ვკიდებთ საკუთარ მეთაურებს, ერთი ასს ვცემთ. ტანკებით დავდივართ პაემანზე და მისთანანი.

ალბათ ასეთებს ჰყვებოდნენ იმ ღამითაც მტკვრის სანაპიროზე თავშეყრილი ქართველი ვაჟკაცები, როს ყიჟინით წამოსული პირტიტველა ჭაბუკები ლომებს დაეცნენ და უმოწყალოდ სცემეს მათ. დაამტვრიეს მათი სახაგამშრალი მანქანები... ხელი, რა თქმა უნდა, არავის გამოუღია, რადგან ალბათ პოლიტიკურმა ალღომ უკარნახათ არ აჰყოლოდნენ პროვოკაციას...

ახლა ცოტა უკან დავიხიოთ. როგორც ცნობილია, სოხუმში ოფიცერ-პრაპორშიკთა რისხვა გამოუწვევია „ადგილობრივი ახალგაზრდების" მიერ სამხედრო მოსამსახურის, ალა დრაპალიუკის შეურაცხყოფას. ახალგაზრდები აბეზრად გადაჰკიდებიან მანდილოსანს, ხოლო ერთ-ერთ მათგანს ხელის კვრით ბუჩქებში უხვრია. ალა დრაპალიუკი შექეიფიანებული ყოფილა და იოლად შეიძლება იქით ატორლიალებოდა ყმაწვილებს. ყოველ შემთხვევაში რატომ მიიჩნიეს მაინცდამაინც ქართველებად ეს „ადგილობრივი ახალგაზრდები" გაუგებარია?

რატომ და იმიტომ, რომ მათთვის მთავარი იყო რაიმე საბაბი ჩხუბის წამოსაწყებად, სამიხოლდ კი სამხედროებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა ქართველები იყვნენ ის ახალგაზრდები თუ არა. ანდა, ბოლოსდაბოლოს, რა საჭიროა საბაბი? მთავარია წადილი ადამიანების რბევა-დაწიოკებისა და თარეშისა. ნათქვამია, თვალი იყოს, თორემ ბუზი ბაღდადიდანაც მოფრინდებაო.

P. S. 23 ივლისს გაზეთი „იზვესტია" იუწყებოდა, რომ უახლოეს მომავალში მოხდება თბილისის საარტილერიო სასწავლებლის პერედისლოკაცია ხაბაროვსკში. ამის თაობაზე „პოსტფაქტუმის" კორესპონდენტს ინკოგნიტოდ აცნობა ოფიცერმა შორეული აღმოსავლეთის სამხედრო ოლქიდან, რომელმაც აღნიშნული ფაქტი შეაფასა, როგორც საქართველოდან საბჭოთა სამხედრო ძალების ევაკუაციის დასაწყისი.

ნეტა ჩვენ, თუ ეს მართალია! და ბრალი იმათ, სადაც ეს ველურები საცხოვრებლად ჩავლენ!

**კობა ლიქლიკაძე**

# იბომბება საბჭოთა კავშირის ტერიტორია

**მიმდინარე** წლის 4 ივნისს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, პირველად მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, ავღანეთის ტერიტორიიდან შემოსულმა ამოუცნობმა რეაქტიულმა თვითმფრინავმა დაბომბა ტაჯიკეთის რესპუბლიკის ყიშლაყი ნამატგუტ-პრენი, რის შემდეგაც მშვიდობიანად დატოვა კავშირის საზღვრები. ქვეყნის საჰაერო თავდაცვის ძალებმა ვერ შეძლეს დაეცვათ ვერც საზღვარი და ვერ ყიშლაყის ადამიანთა სიცოცხლე. დაიღუპა ოთხი ადამიანი. დაზიანდა შენობა-ნაგებობები.

ადგილობრივ მცხოვრებთა თქმით, ავღანეთიდან არა მხოლოდ საჰაერო, არამედ სახმელეთო საზღვარიც დაუცველია თითქმის 300 კილომეტრის მანძილზე და ავღანეთის მხრიდან ცნობილი ყაჩაღი შარიფი თავის ამფსონებთან ერთად ღამ-ღამობით ხშირად ესხმის თავს ტაჯიკეთის სასაზღვრო ზონაში განლაგებულ ყიშლაყებს, ძარცვავს და აწიოკებს მოსახლეობას. განმკითხავი კი არავინაა.

**„მეგაპოლის ექსპრესი". ივნისი 1991 წ.**

**მთარგმნელისაგან:** საბჭოთა არმიას სად სცალია უცხო მომხდურებთან საბრძოლველად, როცა გააფთრებით ებრძვის საკუთარ ხალხს.




**საგამომცემლო კოოპერატივმა „აისმა" გამოსცა ჟურნალ „ლარის" პირველი ნომერი.**

წინამდებარე ნომერში გამოქვეყნებულია გამოჩენილ ფილოსოფოსთა შრომების თარგმანები: სიორენ კირკეგორი, მარტინ ჰაიდეგერი, ზიგმუნდ ფროიდი, ალბერ კამიუ, ჰერაკლიტე და სხვა. აქვე დაბეჭდილია ქართველი თანამედროვე ფილოსოფოსის, ვიტალი კაკაბაძის საინტერესო ნაშრომი.

გაზეთ „საქართველოს" რედაქცია ულოცავს მკითხველს ამ მშვენიერ ნობათს, რომელიც, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს ქართველი მკითხველის ცოდნის დიაპაზონის გაფართოებას.

ჟურნალის მთავარი რედაქტორია ცნობილი მეცნიერი თამაზ ბუაჩიძე.

# გუშინ მოსკოვში...

## საკდესის ინფორმაცია

**როგორც უკვე ვიუწყებოდით, მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი. პლენუმმა განიხილა ჩვენი საზოგადოების განვითარებისათვის კარდინალური მნიშვნელობის საკითხები; პლენუმმა აგრეთვე განიხილა საორგანიზაციო საკითხი. სიტყვა ცნობისათვის აიღო სკკპ ცკ-ის გენერალური მდივნის მოადგილემ ამხ. ვ. ა. ივაშკომ.**

„ამხანაგებო! — თქვა ამხ. ვ. ა. ივაშკომ, — ცენტრალური კომიტეტის სახელზე შემოვიდა ამხანაგ მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის განცხადება. ამხანაგი გორბაჩოვი ითხოვს გავანთავისუფლოთ იგი სკკპ ცკ-ის გენერალური მდივნის თანამდებობიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო...

პლენუმი ერთხმად იღებს გადაწყვეტილებას „დააკმაყოფილოს ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის თხოვნა.

**ვ. ა. ივაშკოს გამოსვლა**

როგორც იცით, ამხანაგი გორბაჩოვი აპირებს უახლოეს ხანებში განცხადებით მიმართოს სსრკ უმაღლეს საბჭოს პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომის შესახებ. ახალი პრეზიდენტის არჩევის საკითხი გადაწყდება სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე. ჩვენ კი დღეს მოგვიწევს ავირჩიოთ სკკპ ცკ-ს გენერალური მდივანი. ამ საკითხზე სიტყვა ეძლევა ამხანაგ ი. კ. პოლოსკოვს".

**ი. კ. პოლოსკოვის გამოსვლა**

„ამხანაგებო! დღეს ჩვენს პარტიას, მთელ ჩვენს ქვეყანას მეტად საპასუხისმგებლო, გარდამტეხ მომენტში უხდება ცხოვრება. ადვილი არ აღმოჩნდა სოციალიზმის მშენებლობა. პარტიის მიერ წარმოყენებული და მთელი ხალხისგან მხურვალედ მოწონებული ნოვატორული იდეები აღანთებდა მშრომელებს, რაზმავდა მათ დიად მიზანდასახულებათა კიდევ უფრო აქტიურად განხორციელებისათვის. მაგრამ, ვარდი უეკლოდ სად მოუკრეფიათ! სახელმწიფო მართვის სხვადასხვა უბანზე აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც საკუთარი ამბიციური მიზნებისათვის გამოიყენეს სოციალისტური დემოკრატიის განვითარებისაკენ მიმართული პარტიის კურსი. ისინი ფიქრობდნენ არა ქვეყნის კეთილდღეობაზე, არამედ საკუთარ პოპულარობაზე. მათი მიზანია: გააშავონ, გააკარიკატურონ ლ. ი. ბრეჟნევი, ცილი დასწამონ და გისოსებს იქით უკრან თავი მის ახლობლებს და ამგვარ „სენსაციებზე" დაყრდნობით დააგროვონ პოლიტიკური კაპიტალი...

თქვენ, რასაკვირველია, გსმენიათ ეგრეთ წოდებულ „ჩურბანოვის პროცესზე". ამ სამარცხვინო, ანტისოციალისტური ძალების მიერ ინსპირირებულ „საქმეს" დიდი ადგილი დაუთმო ყველა ბურჟუაზიულმა გაზეთმა. კაცმა რომ თქვას, სწორედ ამისათვის მოაწყვეს კიდეც თავის დროზე ეს პროცესი მისმა ორგანიზატორებმა.

სკკპ ცკ-ის პოლიტბიურომ სსრკ პროკურატურას დაავალა ყოვლმხრივ გადაემოწმებინა აღნიშნული საქმე. გადამოწმების შედეგები ამ ცოტა ხნის წინ ეცნობათ პოლიტბიუროს წევრებს. სსრკ პროკურატურამ დაადგინა: ე. წ. „ჩურბანოვის საქმის" ყველა მონაწილე სრულიად უდანაშაულოა და დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდნენ. სიხარულით ვაცნობებ პლენუმს, რომ ამ წუთისათვის ეს წამებულნი განთავისუფლებულნი არიან! **(ხანგრძლივი ტაში).**

პარტიული კონტროლის კომისიამ იური მიხეილის ძე ჩურბანოვი აღადგინა სკკპ რიგებში **(მქუხარე ტაში)!**

ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია გაცნობოთ: იური მიხეილის ძე ცკ-ს სამდივნოს მოწვევით დღეს აქ გვესწრება **(მხურვალე ტაში).**

ამხანაგებო, არის წინადადება, ავირჩიოთ ამხანაგი ჩურბანოვი პლენუმის პრეზიდიუმში. ვთხოვთ ვუყაროთ კენჭი. ვინ არის მომხრე? თავი ვინ შეიკავა? ერთხმად".

ამხანაგი პოლოსკოვი სთხოვს ამხანაგ ი. მ. ჩურბანოვს დაიკავოს ადგილი პრეზიდიუმში. ამხ. ი. მ. ჩურბანოვის გამოჩენას პრეზიდიუმში დარბაზი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდება. შემდეგ ამხ. ი. კ. პოლოსკოვმა, მიმართა რა პლენუმის მონაწილეებს, განაცხადა: „ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენ ახლა უნდა შევუდგეთ სკკპ-ის გენერალური მდივნის კანდიდატურის წამოყენებისა და განხილვის საპასუხისმგებლო პროცედურას. სიტყვა ეძლევა ცენტრალური კომიტეტის უხუცეს წევრს, პარტიის ვეტერანს, ღრმად პატივცემულ ეგორ კუზმას ძე ლიგაჩოვს.

**ე. კ. ლიგაჩოვის გამოსვლა**

„ამხანაგებო! ეს პლენუმი მიმდინარეობს მაშინ, როცა ჩვენი საზოგადოება დაჯერებულად, თუმცა არცთუ სიძნელეების გარეშე, მიემართება მთელი კაცობრიობის ნათელი მომავლისაკენ — კომუნიზმისაკენ. და ეჭვი არაა, იგი ისტორიაში შევა როგორც იმგვარი პლენუმი, რომელმაც სათავე დაუდო უდიდეს შემობრუნებას ჩვენს ცხოვრებაში. მაგრამ შემობრუნებას არა იმ მხარეს, საითაც ცდილობდნენ შევებრუნებინეთ არამკითხე გარდამქმნელები, თვითმარქვია, ასე ვთქვათ, რეფორმატორები, სინამდვილეში კი რევიზიონისტები. დიდად ეცადნენ ეს მყვირალა, უპრინციპო დემაგოგები, რომ ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი სწორი გზიდან გადაეცდინათ. გარკვეული ზნით ეს შესძლეს კიდეც. მაგრამ პარტიამ და ხალხმა საკმაოდ სწრაფად გაარკვია ვინ ვინ არის და თავისი მტკიცე „არა" უთხრა ამ ბატონების ანტიპატრიოტულ, კაპიტულანტურ პოლიტიკას. ბოლო ელება მათ მძლავრობას პარტიულ, საბჭოთა ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, მასობრივი ინფორმაციის ორგანოებსა და კულტურის სფეროში. არავითარი შენდობა, არავითარი მიმტევებლობა მათ მიმართ! **(მქუხარე ტაში. შეძახილები „სწორია!", „დიდი ხანია დროა!", გაუმარჯოს ცენტრალურ კომიტეტს!").**

ახლა, ამხანაგებო, გადავიდეთ მთავარ საკითხზე. ჩვენ, ყველას. პარტიამ დაგვავალა ავირჩიოთ ახალი გენერალური მდივანი. და ჩვენ ვალდებულნი ვართ ღირსეულად შევასრულოთ ეს დავალება; გავამართლოთ კომუნისტების მრავალმილიონიანი არმიის ნდობა და მოლოდინი. გენერალური მდივანი უნდა იყოს ყოველმხრივ ღირსეული პიროვნება, პიროვნება, რომელსაც ჩირქი არ მოსცხებია უკანასკნელ წლებში ჩვენს პარტიაში თავჩენილ ოპორტუნიზმთან კავშირით. ეს უნდა იყოს ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრებით დაამტკიცა, რომ ძალუძს მაშინაც შეინარჩუნოს სიწმინდე, როცა დიდი ძალაუფლებითაა აღჭურვილი, და მაშინაც, როცა მტრები ათასგვარ განსაცდელს აწყობენ თავს, ეს უნდა იყოს პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეობით დაბრძენებული, მაგრამ ამავე დროს საკმაოდ ახალგაზრდა ადამიანი, რათა კიდევ მრავალი წელი იმოღვაწეოს წარმატებით პარტიისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

ვფიქრობ, ყველა ამ მოთხოვნას სავსებით აკმაყოფილებს იური მიხეილის ძე ჩურბანოვი **(მქუხარე, უხანგრძლივესი ტაში. შეძახილები „სწორია!", „ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს —დიდება!").**

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, ეს მეგობრული ტაში მივიჩნიო ჩემს მიერ შემოთავაზებული კანდიდატურის ერთსულოვან მხარდაჭერად. და მაინც, სკკპ წესდების მიხედვით პლენუმის ყოველ მონაწილეს შეუძლია კამათში გამოვიდეს ამხანაგ ჩურბანოვის კანდიდატურის ირგვლივ, ხოლო შემდეგ ვუყრით კენჭს. ვხედავ, რომ გამოსვლა სურს ვალენტინ გრიგოლის ძე რასპუტინს. გთხოვთ, ვალენტინ გრიგოლის ძევ".

**ვ. გ. რასპუტინის გამოსვლა**

თვითგამანადგურებელი ექსტრემისტული ყოვლისუარმყოფელობა, შავი ჭირივით რომ მოედო ჩვენს საზოგადოებას, საბედნიეროდ, ჩვენს ისტორიაში ხანმოკლე მონაკვეთი აღმოჩნდა; მაგრამ საკმარისი იმისათვის, რომ თავგასულ უწმინდურებს ზნეობრივი ტერორი გაეჩაღებინათ, ისეთი ტერორი, რომლის შედეგებსაც ჩვენ კიდევ დიდხანს ვიგრძნობთ. რუს ხალხს იმანენტურად გააჩნია ინსტიქტი — უკუაგდოს ყოველივე უცხო, მდაბალი, ის გარეშე, ბნელი ძალები, ჩვენს წინააღმდეგ ალიანსში რომ შევიდნენ საზოგადოების შიგნით მიმალულ ბოროტ ძალებთან. დამთავრდა ქვების უაზრო სროლა, დადგა მათი მოკრებისა და თითქმის დანგრეული ტაძრის აღდგინების ჟამი. დადგა დრო, გავიხსენოთ, ვინ ვართ ჩვენ, მოვისინჯოთ გადარჩენილი ფესვები. ხოლო ფესვები ჩვენი ამ მიწაშია, რუსულ მიწაში. და ახლა გვჭირდება ის ძლიერი პიროვნება, რომელიც ჩაგვბერავს, მოგვანიჭებს თითქმის დაკარგულ რწმენას. ვინ არის, სად არის ეს კაცი? თუ ვინმეს აქ მსხდომთაგან მოსწონს სატანური, უზნეო როკ-მუსიკა, თუ ვინმეს უხარია, რომ ჩვენი თხუთმეტი წლის ქალიშვილები მაძღარი, თვითკმაყოფილი უცხოელების ხელიდან ხელში გადადიან დოლარების, გულდენების, ფრანკების სანაცვლოდ, — ხოლო ამისათვის მათ აცდუნებს — დიახ, აცდუნებდა! — სამამულო კინო და ტელევიზია. თუ ვინმე აქ მსხდომთაგანისათვის მისაღებია ნიჰილიზმი, ყველაფერი წმინდის ლაფში ამოსვრა, ის, რომ თვალებში გვაფურთხებენ და გვიმტკიცებენ, თითქოს ჩვენ ნაგავი ვართ, ხოლო, იქ, „მათთან" ყველაფერი მშვენიერია, — დაე, მან ხმა მისცეს ყოველივე ამას. მე კი ხმას ვაძლევ იური ჩურბანოვს! გმადლობთ ყურადღებისათვის" **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. შეძახილები „ურა!", „სწორია!", „დიდ რუს მწერალს — დიდება!").**

**სიტყვას იღებს სხდომის თავმჯდომარე ვ. ა. ივაშკო.**

„ამხანაგებო, ეს მხარდამჭერი შეძახილები, ტაში საუკეთესოდ მეტყველებენ თქვენს განწყობილებაზე, თქვენს გრძნობებზე. აქვს აზრი კამათის გაგრძელებას? შემომაქვს წინადადება: შეწყდეს კამათი. ვინ არის მომხრე?... ერთხმად. ამგვარად, გადავდივართ გენერალური მდივნის კანდიდატურის კენჭისყრაზე. ვინ არის მომხრე, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ავირჩიოთ ამხანაგი იური მიხეილის ძე ჩურბანოვი?... ერთხმად!".

**(მქუხარე, ოვაციებში გადასული ტაში. შეძახილები „გაუმარჯოს სკკპ ლენინურ პოლიტიკას!", „დიდება პარტიის კოლექტიურ სიბრძნეს!", „ძირს პროდასავლელი კაპიტულანტ-რენეგატები!", „სოციალიზმი გაიმარჯვებს!").**

ამის შემდეგ პლენუმზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა სკკპ ცკ-ის გენერალური მდივანი ამხანაგი იური მიხეილის ძე ჩურბანოვი. ამხანაგ ი. მ. ჩურბანოვის სიტყვისას არაერთხელ გაისმოდა მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. სიტყვა გამოქვეყნდება ცენტრალურ პრესაში.

ამით სკკპ ცკ-ის აგვისტოს პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

**მასალები დასაბეჭდად მოამზადა ვიქტორ პარნევმა.**

მოგვაწოდა **ფელიქს კოჭიაშვილმა.**

---

# მორიგი ხაფანგი

იმპერიის უზენაესი საბჭოს მეხუთე სესიამ ძირითადად მოიწონა სამოკავშირეო ხელშეკრულების „ახალი" პროექტი და გადაწყვიტა შექმნას ცენტრის დელეგაცია მასზე ხელის მოსაწერად.

რა არის ეს „ახალი", გადამუშავებულ პროექტში? ვიტყვით პირდაპირ: იგი წინააღმდეგობებით აღსავსე და უხერხემლოა თავისი შინაარსით, იურიდიული დასაბუთებით, აქ ერთის მხრივ, ლაპარაკია, სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირზე, მეორეს მხრივ, კი რეალური ხელისუფლების მნიშვნელოვანი ნაწილი ცენტრის ხელში რჩება. და რაც მთავარია, 9 სუვერენული სახელმწიფო მეათე, „სუვერენული სახელმწიფოს" შემადგენლობაში შედის, რაც სრული აბსურდია.

სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტი შეიძლება განვიხილოთ „9+1"-ის შეთანხმების თვალსაზრისითაც. და უნდა ითქვას, რომ ხელშეკრულებაზე ხელისმოწერაც, რაც ესოდენ აღელვებს ცენტრს, შეიძლება ბევრს არაფერს ნიშნავდეს. ცხადია, ბრძოლა მის გარშემო კიდევ უფრო გამწვავდება. ამის შესახებ მეტყველებს უკრაინის მაგალითიც.

ამას წინათ, კიევში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოვიდნენ ემიგრანტი ბენდერელები და სხვა ეროვნულ-პატრიოტული ძალები, რომლებმაც თავიანთ შეკრებაზე გადაჭრით განაცხადეს უარი სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე. ამავე პოზიციას ადგას „რუხი", და ეს უკვე სერიოზული განაცხადია. კიევში შემდგარ საზეიმო კრებაზე, რომელიც უკრაინის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ დეკლარაციის წლისთავს მიეძღვნა, ლ. კრავჩუკმა პირდაპირ განაცხადა: „ბოგდან ხმელნიცკისა და 1917 წლის რევოლუციის შემდეგ, უკრაინას ისტორიამ მესამედ მისცა შანსი, აღადგინოს თავისი სახელმწიფოებრიობა და ამ შესაძლებლობას ჩვენ ხელიდან არ გავუშვებთ". — რაც შეეხება ხელშეკრულების პროექტს, მისი განხილვა უკრაინის პარლამენტმა შემოდგომისათვის გადადო, ეს მაშინ, როდესაც ცენტრი გორბაჩოვის სახით ხელშეკრულებაზე ხელმოწერას იმედოვნებს ზაფხულშივე. ამასთან, ისიც საკითხავია, მოაწერს კი საერთოდ ხელს ხელშეკრულებას უკრაინა? ეს კი იმის მომასწავებელი იქნება, რომ რერეფორმათა კომუნისტური ვარიანტი, რაც გათვალისწინებულია, 9+1-ის შეთანხმებით, განწირული აღმოჩნდება....

და მაინც, როგორც ჩანს, რესპუბლიკათა ნაწილი ხელს მოაწერს ხელშეკრულებას, მაგრამ ეს მაინც არ წყვეტს ძირითად პრობლემებს და მოსალოდნელია წინააღმდეგობათა ახალი ტალღა ცენტრსა და რესპუბლიკებს შორის. „პროექტის" ავტორებმა გადადგეს გარეგნულად „მიმზიდველი" პირველი ნაბიჯი. არაპოპულარული და სახელგატეხილი „სოციალისტური რესპუბლიკები" შეცვალეს „სუვერენული სახელმწიფოებით". საფიქრებელია, რომ გარკვეული დროის შემდეგ გააკეთებენ მომდევნო ნაბიჯს, — მოიშორებენ სიტყვა „საბჭოთას". ამ და სხვა ცვლილებებმა ტერმინებში, არა გვგონია, უშველოს იმპერიას, გადაარჩინოს იგი. დისტანციურად რესპუბლიკები საგრძნობლად დაშორდნენ კრემლს, მას შემდეგ, რაც პირდაპირი საერთო-სახალხო არჩევნების გზით აირჩიეს საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტები, მალე მოეწყობა ანალოგიური არჩევნები უკრაინასა და ბელორუსიაში და ა. შ. რაც შეეხება ბალტიის რესპუბლიკებს, მათ სერიოზული განაცხადი გააკეთეს ცენტრისაგან სრულ ჩამოშორებაზე.

ვინ უჭერს მხარს სამოკავშირეო ხელშეკრულებას? რესპუბლიკები (შუა აზიისა და ზოგიერთი სხვა), სადაც ბოლომდე ვერაა ჩამოყალიბებული და არც არის მოსალოდნელი უახლოეს დროში ჩამოყალიბდეს ჭეშმარიტი სამოქალაქო საზოგადოება, რამდენადაც იქ ძალაუფლება ჯერ კიდევ ეკუთვნის ნახევრადფეოდალურ პარტიულ ელიტას. ამ რესპუბლიკებში პარტიულ და საბჭოთა ფუნქციონერებს, საკუთარი მომავალი ბედი მეტისმეტად აწუხებთ. თუკი ისინი მოსწყდებიან ცენტრთან კავშირს, უსათუოდ დაკარგავენ ძალაუფლებას.

ამათ ემატებიან ე. წ. მოხალისეები, რომლებიც საკუთარი ხალხების იმპერიის მონობაში დატოვების ფასად ყოველმხრივ მლიქვნელობენ ცენტრის წინაშე, პირადი პრივილეგიების შესანარჩუნებლად. ამიტომ, ისინი, „საკუთარი ინიციატივით" დაბეჯითებით უჭერენ მხარს პირვანდელი ვარიანტით ხელშეკრულების პროექტზე ხელისმოწერას. ეს, კერძოდ, გამოვლინდა კრემლის დაქირავებულთა და ლაქიათა მორიგი ალიანსის ამასწინანდელ მიმართვაში კავშირის უზენაესი საბჭოსადმი. „მიმართვაში" ისინი გადაჭრით მოითხოვენ მათი სადეპუტატო რეგიონების დელეგაციათა დაშვებას სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად. ვინ არიან ეს „მოღვაწეები", ესოდენ თავგამოდებით რომ ცდილობენ კავშირის შენარჩუნებას? აი, ისინი:

**ე. წ. დნეპრისპირეთის, მოლდავეთის სსრ-დან — გ. მარაკუცა; ე. წ. გაგაუზების რესპუბლიკიდან — მ. კენდიგელიანი; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან — თ. შამბა; ე. წ. სამხრეთ-ოსეთის აწ გაუქმებული ოლქიდან — ა. ჩეხოევი; ესტონეთის სსრ ე. წ. რეგიონთაშორისი საბჭოდან — ე. კოგანი; ლატვიის სსრ ე. წ. შალჩინინკაის რაიონიდან — კ. ბილანსი.**

ამ შემთხვევაში, სეპარატისტთა გუნდიდან ჩვენს ყურადღებას იქცევს თ. შამბასა და ა. ჩეხოევის სახელები, რამდენადაც საკითხი საქართველოს ეხება. როგორც ცნობილია, საქართველოს უზენაესმა საბჭომ ა/წ 9 აპრილს სახელმწიფოებრიობის აღდგენა გამოაცხადა. საქართველოს რესპუბლიკას გაგონებაც კი არ უნდა სამოკავშირეო ხელშეკრულების შესახებ და არამც თუ აპირებს ხელის მოწერას, არამედ არც კი განიხილავს მის პროექტს, როგორც კაბალურს; გადაჭრით და კატეგორიულად გმობს კრემლის ამ მორიგ ხაფანგს.

ცხადია, ვიდრე საქართველოს ტერიტორიაზე დარჩებიან ცენტრის შეიარაღებული ძალები, ქვეყანა დაპყრობილია და მისი სრული დამოუკიდებლობა არარეალურია. და მიუხედავად ამისა, ვითარება დამაიმედებელია. ქვეყნად უსასრულო არაფერია. ამდენად, იმედია, რომ ზღვარი დაედება საიმპერიო ჯარის ნაწილების საქართველოში ყოფნას. თუ მართლაც რუსეთმა და უკრაინამ რეალური სახელმწიფოებრიობა აღიდგინეს, მაშინ ისინი გაიწვევენ თავიანთ ჯარისკაცებს, ოფიცრებს, გენერლებს საქართველოდან. ამის შემდეგ, ფაქტობრივად დარჩებიან შუააზიური ვროვნების ჯარისკაცები და რამდენადაც ჯალალ ედ-დინისა და თემურ-ლენგის ეპოქები დიდი ხანია, ისტორიას ჩაბარდა, ისინიც იძულებული გახდებიან, წავიდნენ საქართველოდან.

ვინ არის ეს თ. შამბა, რომელიც საქართველოს და მეტადრე აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობის დაუკითხავად დაბეჯითებით მოითხოვს ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას? თ. შამბა პარტიული ფუნქციონერია, მოსკოვში მუშაობს და იქვე მუდმივად ცხოვრობს, პროფესიით იურისტია. იგი თავის დროზე აფხაზეთიდან გაძვრა დეპუტატად, ვითარცა აფხაზი ეროვნების მოქალაქე. ისტორიკოსმა ვ. არძინბამ ამჯერად ბევრად უფრო მეტი წინდახედულება და გონიერება გამოიჩინა, — არ მიიღო რა მონაწილეობა ვიგინდარათა ალიანსში და არ მოაწერა ხელი მათ სრულიად უსაფუძვლო მიმართვას, — ვიდრე იურისტმა და პარტიულმა ფუნქციონერმა თ. შამბამ, რომელსაც თავისი მოკლე ჭკუით, მიაჩნია, რომ თუკი სხვებთან, თავისნაირებთან ერთად, ხელს მოაწერს სამოკავშირეო ხელშეკრულებას, ამით შენარჩუნდება კავშირი და გადაარჩენს საკუთარ ტყავსაც, ვითარცა პარტიული ფუნქციონერი. არა ბატონო თ. შამბა! მოუხდენელი არ მოხდება. თქვენთვის აფხაზეთის მოსახლეობას არ მოუნდვია საკუთარი ბედის გადაწყვეტა, ისიც საკითხავია, თუ როგორ გაძვერით აფხაზეთიდან დეპუტატად მოსკოვში მუდმივად მცხოვრები და მომუშავე, რომელსაც ავტონომიური რესპუბლიკისათვის არაფერი სასარგებლო არ გაგიკეთებიათ! აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობა უარს ამბობს სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე, ხოლო 17 მარტის რეფერენდუმის გაყალბება აფხაზეთში ცნობილია.

რაც შეეხება ა. ჩეხოევს, იგი ყოფილი ოლქის მოსახლეობამ გააძევა როგორც უქნარა და მექრთამე. მანამდე კი საქართველოს კპ-ის მესვეურთა ხელშეწყობით ცენტრის დეპუტატად შეძლო გაძრომა. ახლა იგი უტიფრად გამოდის და არარსებული ოლქის მოსახლეობის სახელით მოითხოვს სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას. დავუშვათ, მისცეს მას ამის ნება, ეს ხომ სრული სიყალბე იქნება? არა, ანატოლი! ეს ნომერი არ გაგივა, მალე დაგიმთავრდება დეპუტატის რწმუნება და მერე რა გეშველება? ალბათ, დარაჯადაც კი აღარ მიგიღებენ მოსკოვის ნებისმიერ საწარმოსა თუ დაწესებულებაში.

ასეთი და სხვა ანალოგიური მანიპულაციებით ცენტრი ვერ შეძლებს იმპერიის გადარჩენას. რესპუბლიკები უთუოდ უნდა გავიდნენ კავშირის შემადგენლობიდან, რომლებიც 70 წლის წინათ, აქ ძალდატანებით იქნენ შერეკილნი. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი ხალხების თავისუფალი ნებისა და დემოკრატიული უფლებების განხორციელება, მხოლოდ ამ გზით მიაღწევენ რესპუბლიკები ურთიერთშორის კეთილმეზობლურ, თანასწორუფლებიან, ეკონომიკურ და პოლიტიკურ თანამშრომლობას.

**ალექსანდრე მუჯირი**

# იმერეთის დედოფალი მარიამი

## კორნელი ბოროზდინი

**კორნელი ბოროზდინის[1] მოთხრობა „იმერეთის დედოფალი მარიამი", რომელიც ქვემოთ იბეჭდება, ნაკლებად არის ცნობილი ქართველი მკითხველისათვის. მოთხრობა დაიბეჭდა 1908 წელს გაზეთ „ივერიაში" (№ 189 და № 190-ში). მოთხრობა თავისი შენიშვნებით შევიტანეთ ჩემს ესეების კრებულში „წინაპართა ხმა", რომელიც 1978 წელს გამომცემლობა „მერანმა" დაბეჭდა, მაგრამ, აღნიშნული მოთხრობის დაბეჭდვა გამომცემლობამ საჭიროდ არ სცნო, იმ პოლიტიკური მოსაზრების გამო, რომ მარიამის მეუღლე სოლომონ მეორე საქართველოში რუსეთის შემოსვლის სასტიკი მოწინააღმდეგე იყო. ახლა პოლიტიკური სიტუაცია შეიცვალა და საჭიროდ ვცანით მისი დაბეჭდვა იმ საინტერესო შენიშვნის დართვით, რომელიც გაზეთ „ივერიის" რედაქციამ გაუკეთა ბოროზდინის მოთხრობას „იმერეთის დედოფალი მარიამი".**

**„იმერეთის დედოფალი მარიამის" თარგმანს ხელს აწერს ს. დავითიანი, იგი ფსევდონიმია ცნობილი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის სარგის კაკაბაძისა და მოთხრობაში დართული მეცნიერული შენიშვნებიც მის კალამს ეკუთვნის.**

ალექსანდრე სიგუა

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს, პირველ ათეულ წლებში, ე. წ. ლიტეინი პროსპექტისაკენ მიმავალ ქუჩაზე, განმარტოებულ ხის სახლში, როგორიც მაშინ ასე ბლომად იყო პეტერბურგს, ცხოვრობდა მოხუცი ქალი — იმერეთის დედოფალი მარიამი. თავის ცხოვრებას ის მშვიდად, სადად ატარებდა, სხვაგან ძვირად დადიოდა, ტანთ იცვამდა თავის ეროვნულ ტანისამოსს და უკვე მოხუცის სახეზე, კარგად ჩანდა უწინდელი მისი გასაოცარი სილამაზის კვალი. დედოფლის შტატს შეადგენდა რამდენიმე მასთან დაახლოებული ქალ-ვაჟი, მოხუცი და ახალგაზრდა. ესენი დედოფალს მოჰყოლოდნენ შორეული სამშობლოდან და რაღაც განსაკუთრებული პატივისცემითა და მოწიწებით ეპყრობოდნენ.

ყოველ კვირას, დედოფალი სასახლის კარის კარეტით მიდიოდა მახლობელ ეკლესიაში ან, ნეველის ლავრაში, ხოლო საუფლო დღესასწაულებსა და უქმე დღეებში ესწრებოდა სამეფო გამოსვლას და მეჯლისებს. სადღესასწაულო ტანისამოსი მისი ყოველთვის ერთნაირი იყო: თეთრი ატლასის კაბა, ასეთივე ოქრომკედით ნაკერი ქათიბი, რომლის ქვეშ მოჩანდა წმ. ეკატერინეს ორდენის ლენტი და ვარსკვლავი, ხოლო თავზე გაკეთებული ჰქონდა თავსაკრავი, ძვირფასი ქვებით შემკული და გრძელი ლეჩაქით დაფარული. მოხუც დედოფალს ძლიერ ეალერსებოდა ორივე იმპერატრიცა. ხელმწიფეც განსაკუთრებული მოწყალებით ეპყრობოდა, მაგრამ, მის ღირსებით, სიკეთითა და სიმშვიდით სავსე სახეზე ძვირად თუ გაირბენდა ღიმილი. თავის სიცოცხლეში ამ მანდილოსანმა ძლიერ ბევრი მწუხარება გადაიტანა მას შემდეგ, რაც რამდენიმე წლის წინ მისმა ქმარმა, იმერეთის მეფემ სოლომონმა დაარღვია ფიცი და გაიქცა ოსმალეთში. ეს ამბავი მოხდა შემდეგ გარემოებათა გამო:

ქუჩუკ-კაინარჯის ზავის ძალით 1783 წ[2] ამიერკავკასიის საქრისტიანო ქვეყნების ყველა მთავრები განთავისუფლდნენ ოსმალეთის ქვეშევრდომობისაგან და სამარცხვინო ხარკის — ქალ-ვაჟის — ძლევისაგან, ცნობილ იქნენ დამოუკიდებლად, მაგრამ, ნამდვილად კი ეს დამოუკიდებლობა მხოლოდ სახელით იყო. როცა რუსის ჯარი, სპარსთა და ოსმალთა დამარცხების შემდეგ, ამიერკავკასიიდან გავიდა, სპარს-ლეკებმა წინანდებურად იწყეს ქართლ-კახეთის აოხრება, ხოლო ოსმალნი დროგამოშვებით თავს ესხმოდნენ იმერეთს. სამეგრელოსა და ქართლ-კახეთს, ერთმანეთზე ამხედრებდნენ მეფე-მთავრებს და აოხრებდნენ ქვეყანას. ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გასტანდა. მუდამ ორ წყალს შუა ყოფნა ვერ აიტანეს ამიერკავკასიის ქრისტიანმა მთავრებმა. მას შემდეგ, რაც 1801 წელს ქართლ-კახეთის მეფემ გიორგი XII-მ, სიკვდილის წინ გადასცა თავისი სამეფო რუსეთის იმპერატორს[3]. მის მაგალითს 1803 წ. მიბაძა სამეგრელოს მთავარმა გრიგოლ დადიანმა, ხოლო 1804 წ. კავკასიის მთავარმმართებელ თავ. ციციანოვთან მოლაპარაკების შემდეგ მოლაპარაკება სწარმოებდა გრაფ. მ. ს. ვორონცოვის — შემდეგში კავკასიის მეფის ნაცვლის — შუამავლობით) მასში მონაწილეობა მიიღო იმერეთის მეფემ სოლომონმაც; მაგრამ, როცა ასეთ გადაწყვეტილებას იღებდა, სოლომონი ვერ ჰგრძნობდა სავსებით, როგორც ამ საქმის სიდიადეს, ისე იმასაც, რომ პასუხს აგებდა, თუკი მომავალში ცოტათი მაინც თავისი მოქმედებით უგულებელყოფდა რუსეთის მთავრობების ინტერესებს.

ეგრეთ წოდებულ თხოვნის მუხლთა ძალით, სოლომონი, რუსეთის მეფის ქვეშევრდომობაში შესვლის შემდეგ, ჰკარგავდა უფლებას, თავის ქვეშევრდომთა სიცოცხლესა და პიროვნებაზე. ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ერთმეოდა სისხლის სამართლის საქმეების გარჩევის უფლება და თავის სამეფოში სრულ ბატონად მხოლოდ სამოქალაქო საქმეებში რჩებოდა, ამასთანავე, ყოველგვარი ურთიერთობა მისი სამეფოს მოსაზღვრე ოსმალეთის მოხელეებთან მხოლოდ კავკასიის მთავარმმართებლის შუამავლობით უნდა ჰქონოდა. ქუთაისში ჩადგა რუსთა ჯარის ნაწილი, მოაწყო იქ თავისთვის ბინა, ხოლო მეფესთან დანიშნულ იქნა ერთი მოხელე, განსაკუთრებული ინსტრუქციითა და უფლებებით მოსილი. ამგვარ რეჟიმს ვერ შეურიგდა სოლომონი, უფრო კი, მასთან დაახლოვებულ თავადების, თვისისა და დედოფლის ნათესავების ოინების წყალობით. ამათ დიდი გავლენა ჰქონდათ თავიანთ სუსტი ხასიათის ხელმწიფეზე, რაც სურდათ, იმას აკეთებინებდნენ და რადგანაც ეშინოდათ რუსთა მთავრობა ამ თვითნებობას ალაგმავსო, ამიტომ მეფეს რუსთა წინააღმდეგ შეგულიანება დაუწყეს. ჩვენის რეზიდენტისა და თვით მთავარმართებლის მოთხოვნილებანი ან უგულოდ სრულდებოდა, ან სრულიად არ მოჰყავდათ სისრულეში, ხოლო ამავე დროს, მეფეს საიდუმლოდ მიწერ-მოწერა ჰქონდა გამართული ახალციხის ფაშასთან, რომელიც სთხოვდა, ხონთქრის ქვეშევრდომობა იკისრე ისევ და განდევნე რუსნი შენის სამეფოდანო. თავის მხრივ, ფაშამ ჯარით დახმარებაც აღუთქვა. ეს მიწერ-მოწერა ხელში ჩაუვარდა მთავარმართებელს, რომლის ადგილი მაშინ ეჭირა არა თავ. ციციანოვს, რომელსაც მეფე განუსაზღვრელად ენდობოდა; მის შემდეგ მთავარმართებლად იყო გრაფი გუდოვიჩი, ხოლო შემდეგ გენერალი ტორმასოვი, რომელსაც სოლომონი ნაკლებად იცნობდა. ტორმასოვი მეფესთან მიწერილ წერილებში ნიადაგ მკაცრსა და ოფიციალურ კილოს ხმარობდა და როცა, სოლომონის მიწერ-მოწერა ახალციხის ფაშასთან მთავრობისათვის ცხადი შეიქმნა, მთავარმართებელმა მიზეზების აუხსნელად გამოიწვია მეფე ტფილისში[4]. წაუსვლელობა შეუძლებელი იყო, რადგან, ერთის მხრივ, ის ამით აშკარად გამოაჩენდა თავის გუარშვილობას და მეორეს მხრივ, მეფემ იცოდა, რომ თუკი დასჭირდებოდათ, ძალით მაიძულებენ წასვლასო. ტფილისში მეფეს ბინად მიუჩინეს ერთი ორბელიანთა სახლთაგანი, რომელიც მტკვრის პირად იდგა. მეფემ ინახულა ტორმასოვი, რომელმაც განუცხადა, რომ შენი მოღალატებრივი ურთიერთობა ოსმალეთთან გამოაშკარავებულია, ამის შესახებ უკვე მოხსენებაა გაგზავნილი პეტერბურგში და სანამ იქიდან რაიმე გადაწყვეტილი ბრძანება მოვიდოდეს, უნდა შინაურულად დაპატიმრებული იყვეო. მის ბინას მიუჩინეს ყარაული.

ამ დღიდან მეფისათვის დაიწყო ერთგვარი, ყოვლად თავმომაბეზრებელი ხანა ლოდინისა. ვისიმე ნახვა მეფეს შეეძლო მხოლოდ მოდარაჯე ოფიცერის ნებართვით და ისიც მხოლოდ იმათი, რომელნიც რუსთა მთავრობისათვის ცნობილი იყვნენ, როგორც კეთილსინდისიერნი. მსახურთაგან დატოვეს ივანე სარალიძე, რომელიც განუშორებლად თავის ხელმწიფესთან იმყოფებოდა. მაგრამ, მეფის თანამოსაგრეთ, თ. თ. ანდრონიკაშვილებს, აბაშიძეებს, წულუკიძეებს არ ეძინათ. საიდუმლოდ და დიდის მოხერხებით მიწერ-მოწერა ჰქონდათ გამართული მეფესთან და საქმე იმით გათავდა, რომ როცა ერთხელ სოლომონთან შევიდა მოდარაჯე ოფიცერი, ნახა ტახტზე წამოწოლილი მეფის ტანისამოსით გლეხი სარალიძე, ხოლო თვით სოლომონი კი გაქცეულიყო. ეს ყველაფერი ამნაირად მოახერხეს: სარალიძე დღეში რამდენჯერმე ჩადიოდა მტკვარზე კლდოვანის ნაპირით, გაავსებდა წყლით სპილენძის ჰურჰელს (თუნგს) და უკან ბრუნდებოდა მეფის ოთახში. მის ამგვარის ხშირი სიარულის გამო დარაჯები ისე მიეჩვივნენ მსახურის სახის გულუბრყვილო მეტყველებას და მისს უბრალო ტანისამოსს, რომ ყურადღებასაც აღარ აქცევდნენ; ის — კი სულ იმავე თუნგით ხელში, მიდიოდა მეფის თანამოსაგრეთა სანახავადაც. როცა ყოველივე მზად იყო, სოლომონმა ჩაიცვა თვისის მსახურის ტანისამოსი, ჩამოიფხატა შუბლზე ქუდი და თუნგით ხელში ჩაეშვა მტკვრისაკენ, სადაც უკვე უცდიდნენ თავადნი შეკაზმულ ბედაური ცხენით. როცა ეს ამბავი გამოაშკარავდა, თუმცა, მეფეს ყოველი მხრისაკენ დაადევნეს მდევრები, მაგრამ ამაოდ: სოლომონი მთის ბილიკებით ახალციხისაკენ წასულიყო და მეორე დღეს უკვე ფაშასთან იმყოფებოდა, საიმედო ადგილას. ამ ამბავმა დიდი ალიაქოთი გამოიწვია ტფილისსა და იმერეთში. ბევრი დააპატიმრეს, ხოლო გლეხი ივანე სარალიძე ჩასვეს მეტეხის ციხეში, სადაც რამდენიმე თვე იტანჯებოდა, ხოლო შემდეგ სადღაც გაგზავნეს ციმბირის შორეულ ადგილებში. იმერეთში განზრახული იყო ამბოხების მოხდენა, მაგრამ, რუსთა მთავრობამ დაასწრო და ამ ქვეყანაში საბოლოოდ დამკვიდრდა რუსთა მთავრობა.[5]

მეფე სოლომონის მეუღლე, მარიამ დედოფალი კი პატივით გადაიყვანეს პეტერბურგში და მას შემდეგ, როგორც უკვე ვთქვი, აქ სცხოვრობდა ხელმწიფისაგან და სამეფო ოჯახისაგან მოწყალედ მიღებული. ქმრის შესახებ დედოფალს არასასიამოვნო ამბები მოსდიოდა. ახალციხის ფაშამ ვერ შესძლო მეფისათვის რაიმე დახმარების გაწევა და საქმე იმით გათავდა, რომ სოლომონს უთხრეს, ტრაპიზონში იცხოვრეო და დაუნიშნეს მცირე პენსია. რასაკვირველია, გულწრფელად რომ მოენანიებინა თავისი შეცოდება, და მიქცეულიყო რუსეთის იმპერატორის სულგრძელობისადმი, ნებას დართავდა რუსეთში დაბრუნებულიყო და თავის მეუღლესთან ერთად მშვიდად იცხოვრებდა ერთ-ერთ ჩვენს საგუბერნიო ქალაქში, როგორც კერძო კაცი. მაგრამ მეფესთან დაახლოვებულნი, რომელნიც ტრაპიზონშიც გადაჰყვნენ, ამას არ ურჩევდნენ და სულ რაღაც ფუჭის ოცნებით აიმედებდნენ თავიანთ მეფეს. დედოფალიც სთხოვდა, იწვევდა, მაგრამ, მისმა წერილებმა ვერ გასჭრა.

1820 წელს, სოლომონი მიიცვალა ტრაპიზონში.[6] ამ ამბავმა ისეთი თავზარი დასცა დედოფალს, რომ რამდენიმე ხანს ექიმებს კიდეც ეშინოდათ, ვაი თუ ჭკუაზე შეიშალოსო. მაგრამ, როცა მარიამი გონს მოვიდა და დამშვიდდა, საკვირველის სიცხოველით წარმოუდგა თვალწინ თავისი ბედნიერი წარსული, მოაგონდა ცოლ-ქმრობის პირველი უშფოთველი წელნი. ქმარი გაშმაგებით უყვარდა და შეუძლებელიც იყო ისეთი გულითადი, უვერაგო, უკიდურესობამდე მიმნდობი და თუმცა ფიცხი, მაგრამ განუსაზღვრელად კეთილი კაცი არ ჰყვარებოდა, როგორიც იყო სოლომონი. მათდა სამწუხაროდ, ორი შვილი სიყრმეშივე მოუკვდათ, ხოლო შემდეგ კი დედოფალი უნაყოფოდ დაშთა. ამ გარემოებამ, ცოტა არ იყოს, შემშფოთავი ელფერი დასდო მათ ცხოვრებას. როგორმე თავი რომ ენუგეშებინათ, ჰყავდათ აყვანილი სხვისი ობლები, რომლებსაც შვილებივით ზრდიდნენ და უვლიდნენ. ერთი ამისთანა ობოლი აზნაური გიორგი [illegible], რომელიც მეფეს საჩუქრად მიჰგვარა თავადმა მაჩუტაძემ, ძლიერ უყვარდა [illegible]. მეფე-დედოფალი უბრალოდ ცხოვრობდნენ, ყველასათვის თვალსაჩინოდ, ასე რომ ყველას ნება ჰქონდა, მეფის პირადად ნახვისა. მაგრამ, მხოლოდ ერთი გარემოება არ იყო კარგი — ეს იყო საშინელი მტრობა სოლომონისა და სამეგრელოს მთავარ გრიგოლ დადიანს შუა. მათი სამფლობელოები ერთმანეთის მოსაზღვრე იყო და მთელი საზღვრის სიგრძეზე სულ მუდამ გამოტყვრებოდა ხოლმე რაიმე საბაბი იმერლების მეგრელებთან წვრილმანის უსიამოვნობისა; სულ უბრალო რამეზე ატყდებოდა ჩხუბი, ამას მოჰყვებოდა იარაღის ხმარებაც, რაც იმით თავდებოდა, რომ საქმეში ჩაერეოდნენ თვით მეფე-მთავარიც. ხოლო მაშინ, მომეტებულ წილად, მათ შორის ასტყდებოდა ხოლმე ომი, და მეფე გაიმარჯვებდა, თუ მთავარი, ორივეს ქვეყანა ოხრდებოდა დიდს მანძილზედ და ტყვედ წაყვანილი ქალები და ბავშვები კი ოსმალეთში იყიდებოდა.

შეუძლებელია იმ საცოდაობის აღწერა, რაც მაშინ ხდებოდა. ხალხს ახლაც ახსოვს ეს საშინელი ხანა დასავლეთ საქართველოში, რომლის დროსაც შიმშილითა და ჟამით მოსწყდა ორი წილი მცხოვრებთა და სიცოცხლით სავსე ქვეყანა მთლად გაპარტახდა. რამდენს ეცადნენ ორსავე სახელმწიფოს ეპისკოპოსნი და სხვა სასულიერონი მათს შერიგებას, მაინც ვერას გახდნენ. ჭეშმარიტი მშვიდობიანობა მათ შორის არ დამყარდა და არა. და აი, 1802 წელს ახლად ამტყდარ ომში მეფემ საბოლოოდ დაამარცხა დადიანი. წაართვა სამეგრელოს მთიანი ნაწილი, ლეჩხუმი და აპირებდა სამთავროს დანარჩენის ნაწილის დაპყრობასაც. მაგრამ, დადიანმა ასეთ უკიდურესობაში მიჰმართა რუსეთის მეფეს შემწეობის სათხოვნელად და თავის მხრივ ქვეშევრდომობა აღუთქვა. დადიანის დასახმარებლად გაგზავნილი ჯარი გადმოვიდა ზღვის ნაპირას რედუთ-კალეში, მისი უფროსი, პოლკოვნიკი რიკოფი ენერგიულად გამოესარჩლა დადიანს, რომელსაც ლეჩხუმი უკან დაუბრუნეს, სამეგრელო განთავისუფლებულ იქმნა იმერეთის მეფის ჯარისაგან, ხოლო თვით სოლომონი კი საშიშ მდგომარეობაში ჩავარდა. აი, ამ დროს დაიწყო მან მოლაპარაკება ციციანოვთან რუსეთის ქვეშევრდომობის შესახებ. ყველა ეს სწრაფად ხდებოდა, რადგან ეშინოდათ იმ ერთმანეთის მოქიშპე პარტიებისა, რომელნიც მეფეს გარს ერტყნენ. ზოგი რუსების მომხრე იყო, ხოლო დანარჩენნი — კი წინააღმდეგნი.[7] სოლომონი ამათ ხელში სათამაშო ბურთად გადაიქცა. ასე რომ, თუმცა, იმერეთმა მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობა, მაგრამ ეს საქმე არ იყო კარგად მოფიქრებული მეფის მიერ. ყველაფერი შემთხვევით მოხდა და როცა რუსები შევიდნენ იმერეთში, მეფე თავის ახალ მდგომარეობაშიც ყოყმანობდა, ხოლო მასთან დაახლოვებული თავადები კი ნიადაგ მისთვის საზარალო საქმეებზე აქეზებდნენ. ყოველივე ეს აგონდებოდა დედოფალს და მწარედ დასტიროდა ბედს თავის უბედური ქმრისას, რომელმაც თავისნი დღენი უცხო, მამადიანთ ქვეყანაში დალია. აი, ასეთ მწუხარების დროს დედოფალი ჰპოვებდა დიდს ნუგეშად რუსეთის ხელმწიფის უავგუსტოეს ოჯახში. თვით ხელმწიფე, ორივე იმპერატრიცა და დიდნი მთავარნი ხშირად ინახულებდნენ ხოლმე. ხელმწიფე ხანდახან ერთს საათზე მეტს რჩებოდა მასთან სამუსაიფოდ და დედოფალი არასოდეს ივიწყებდა, თუ როგორ მოწყალედ და დაწვრილებით გამოიკითხავდა ხოლმე იმპერატორი მის ამბავს.

ერთ ასეთ მუსაიფის დროს დედოფალმა გადაწყვიტა განეცხადებინა ხელმწიფისათვის თავისი გულითადი თხოვნა. — „ეხლა, რადგან ჩემი უბედური ქმარი მკვდარია, — დაიწყო დედოფალმა, — კეთილ ინებეთ ხელმწიფევ და უმოწყალესად მიაქციეთ ყურადღება იმ უბედურ გლეხს, რომელიც უკვე ათ წელიწადზე მეტია, რაც იტანჯება შორეულ ციმბირში. მართალია, ის იყო ჩემის ქმრის დამხმარე მოღალატეობაში, მაგრამ, ისეთი დამხმარე იყო, რომელიც დაუფიქრებლად თავის თავს სწირავდა და მსხვერპლად თვის ბატონს განუსაზღვრელი ერთგულების გამო. მე ვიტანჯები იმისი უბედურის ბედით, ის ჩემთვის ძვირფასია და გადავწყვიტე, გთხოვოთ, ხელმწიფევ, მაპატიეთ და დააბრუნეთ აქ, ჩემთან, რათა შემეძლოს მისთვის ზრუნვა".

ამ სიტყვებით დედოფალი დაეცა იმპერატორის ფერხთა ქვეშ. ხელმწიფეზე ამ სანახაობამ ძლიერ იმოქმედა, თვალთ ცრემლები წამოადგა, ააყენა დედოფალი და შეჰპირდა, ეხლავე ვუბრძანებ გლეხის სარალიძის უკან დაბრუნებას და შენთან მოყვანასო.

ამის შემდეგ, ხელმწიფე მალე გაეშურა პეტერბურგიდან თავისი იმპერიის შიდა გუბერნიისაკენ, ხოლო უბედურ დედოფლის ცხოვრება, მისთვის ძვირფასი სარალიძის მოლოდინში, წინანდებურად წყნარად, ერთფეროვნობით მიდიოდა. მაგრამ, ამაოდ უცდიდა დედოფალი თავის ერთგულ გლეხს. როგორც მთავრობამ აუწყა. სარალიძის კვალი ციმბირში დაკარგულიყო, ასე რომ, არც კი იცოდნენ, ცოცხალი იყო, თუ მკვდარი. გავიდა ექვსი თვე, სრული წელიწადი და მის შესახებ ვერაფერი ამბავი ვერ შეიტყეს, ასე რომ, დედოფალმა უკვე იწყო შესანდობელ ლოცვაში ქმართან ერთად მისი მოხსენიებაც, რადგან უკვე მკვდარი ეგონა. მაგრამ აი, ერთხელ მარიამს მოახსენეს, რომ ვილაც უცნობს, უბრალოდ ჩაცმულს მოხუცს, სურს თქვენი ნახვაო. ამგვა...

(დასასრული მე-5 გვ.)

1) ბ-ნი ბოროზდინი კარგად ცნობილია კავკასიის მწერლობაში. მისი თხზულებანი „სამეგრელო-სვანეთის სამთავროების მოსპობა" და „ბატონ-ყმობა საქართველოში" ქართულადაც არის თარგმნილი. ეს მოთხრობა, რომელიც ბოროზდინისათვის, როგორც თვითონ აცხადებს წერილის ბოლოში, უამბია უგ. თ. გრიგოლ ლევ. დადიანს, დაბეჭდილი იყო რუსულ „ნივას" 1893 წლის კრებულში. ზოგიერთი ცნობა ამ მოთხრობისა, ჩვენის ისტორიისათვის გამოსადეგი იქნება და ამისათვის საჭიროდ მივიჩნიეთ მისი თარგმნა მხოლოდ აქა-იქ, სადაც საჭიროდ დავინახეთ, რამდენიმე შენიშვნა წარვუმძღვარეთ.

დედოფალი მარიამი იყო ასული სამეგრელოს მთავრის კაციასი, დაი მთავრის გრიგოლ დადიანისა, და მეუღლე უკანასკნელი იმერეთის მეფის სოლომონ II-ისა.

2. შეცდომაა. ეს ზავი რუსეთ-ოსმალეთს შორის 1774 წ. დაიდო.

3. ეს ფაქტი არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს (რედ.).

4. ეს ასე არ იყო. 25 აპრილს 1804 წ. მეფე იძულებული გახდა ძალას დამორჩილებოდა და რუსთა იმპერატორის ერთგულებაზე ფიცი მიიღო იმ პირობით, რომ თუ საჭირო საბუთებს წარმოადგენდა, ლეჩხუმი მისთვის უნდა დაემტკიცებინათ. მაგრამ, რადგანაც რუსთა მთავრობამ კარგად იცოდა, რომ მეფეს რუსები ჭირივით ეჯავრებოდა, ამიტომ თავისი საიდუმლო მტრის დასასუსტებლად გადაწყვიტა ლეჩხუმი ჩამოერთმია მისთვის და დადიანისათვის მიეცა, რომელიც რუსეთის მომხრე იყო. მართლაც, ლეჩხუმი დადიანს მისცეს. მაშინ მეფემაც გაბათილებულად ჩათვალა თავისი ფიცი და იწყო მიწერ-მოწერა ოსმალეთთან რუსების გასარეკად. თავის მხრივ, რუსეთის მთავრობამაც გადაწყვიტა მეფის ტახტიდან გადაყენება და რუსეთს გადასახლება. ასეთი დიპლომატიური ომი რამდენსამე წელიწადს გაგრძელდა, ბოლოს, 1810 წლის 20 თებერვალს იმპერატორის პროკლამაციით სოლომონ II-ს მეფობა ჩამოართვეს. სოლომონ II მცირე ჯარით გამაგრდა ხანის-წყლის ზეობაში. რუსნი შემოერტყნენ. რადგან წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი იყო, მეფემ მოლაპარაკება გამართა რუსის ჯარის უფროსებთან, რომელთაც შემფიცეს, რომ თუ ტფილისში წაბრძანდებით, მთავარმართებელთან მოსალაპარაკებლად, თქვენს ღირსებას არა მოაკლდება-რა, და ისევ მეფედ დარჩებით იმერეთშიო. მეფეც დიდძალის ამალით, 500 კაცით, წავიდა ტფილისს..

5. მეფე გაიპარა ტფილისიდან 9-10 მაისს ღამით ახალციხის საფაშოში თ. თ. წერეთლების (მათ შორის ერია თ. სვიმონ წერეთელი, შვილი სახლთუხუცესის ზურაბისა, რომელიც მეფეს ჰღალატობდა), ერისთავებისა და სხვების — სულ 28 კაცის თანხლებით. აქედან 17 მაისს პროკლამაციები გაგზავნა იმერეთში. მეფის პროკლამაციებმა დიდად აალელვა მთელი სამეფო და, როგორც კი სოლომონმა ფეხი შედგა (2 ივნისს იმავე 1810 წ.) თავის ქვეყანაში, მაშინვე მთელმა იმერეთმა იარაღი აისხა და ბრძოლის ველზე გავიდა. მაგრამ, უბედური მეფე ვერას გახდა. მრავალგან და მრავალჯერ დამარცხებული ბოლოს, 18 ნოემბერს ივლტო ოსმალეთს. მაგრამ, ამ დიდის ხნის ბრძოლამ საშინელი გავლენა იქონია იმერეთზე. ყანები დაუთესავი დარჩა, რადგან ხალხი ბრძოლის ველზედ იყო გასული, რაც დათესა, ისიც ზაფხულის დიდმა ნიაღვრებმა წაახდინა. ამის გამო, მეორე წელს საშინელი შიმშილობა ჩამოვარდა, რასაც ზედ დაერთო ახალციხიდან გადმოტანილი შავი ჭირი (ჟამი) ეს უბედურება გაგრძელდა 1812 წ. შემოდგომამდე.

6. სოლომონ II მიიცვალა 7 თებერვალს 1812 და არა 1820 წ. და დამარხულია იქვე.

7. რუსების მომხრე იყვნენ მთავრობის მიერ მოსყიდული თავ. ზურაბ წერეთელი და მისი დამქაშნი.

(დასასრული)

...ი მნახველები ხშირად დადიოდნენ დედოფალ...ან შემწეობის სათხოვნელად, რადგან, იცოდ...ენ მისი გულკეთილობა და ქველობა. მარიამმა ...იფიქრა, ერთი ამისთაგანი იქნებაო და უბრძანა, ...შემოიყვანეთო. მოხუცი შემოვიდა და ერთის ...თვალის გადაკვრაც საკმაო იყო დედოფლისათ...ვის, რომ ეცნო სარალიძე. ზმაამოუღებლივ მო...ეხვივნენ ერთმანეთს და დიდხანს სტიროდნენ. ...შეუძლებელია იმის აღწერა, თუ რამდენად სა...იხარულო წუთები იყო ეს ორთავესათვის.

...ბოლოს, როცა ორნივ დამშვიდდნენ და მე...ფის სოლომონის ერთგული მსახური დედო...ფალს ფეხთ მოუჯდა, საცოდავმა უამბო, მარი...ამს ყოველივე, რაც კი გადაიტანა ციმბირში ...თის წლის მანძილზე.

...ტფილისიდან გაგზავნეს აღმოსავლეთ ციმ...ბირში, სადაც ერთ მივარდნილ პატარა ქალა...ქში დარჩა რამდენიმე წელიწადს მთავრობ...ის ზედამხედველობის ქვეშ. შემდეგ ციმბირის სხვა ქალაქებში შესვლის ნება დართეს. . . აქ შოულობდა საქმესა და სამუშაოს სხვადასხვა მრეწველებთან და ვაჭრებთან და ერთიდან მეორესთან გადადიოდა, თავდაპირველად რუსულის ენის უცოდინრობა ძლიერ უშლიდა ხელს, მაგრამ, არა თუ ლაპარაკი, არამედ წერა-კითხვაც კი შეისწავლა. ერთის ადგილიდან მეორეს გადასვლის შემდეგ ბედმა ბოლოს მოიყვანა დასავლეთ ციმბირში, სადაც მადნებზე მუშაობდა.

აი, რატომ ვერ მონახეს ამდენს ხანს აღმოსავლეთ ციმბირში და მხოლოდ ორი თვის წინად ნახეს ეკატერინბურგში, განუცხადეს პატიება, და პეტერბურგამდი სამგზავრო ფულიც მისცეს. მაგრამ, ამ საწყუხარ წანწალის შემდეგაც ძლიერ მადლიერი დარჩა რუსეთის ხალხისა, რომელიც ყველგან მხურვალე თანაგრძნობით ეპყრობოდა. უჰირს ცხოვრება ამ ხალხს და აკი ამიტომაც შეუძლიათ სხვების უბედურებათა თანაგრძნობა! მაგრამ, მხოლოდ ციმბირის მკაცრ ჰავას ვერ შეეთვისა სარალიძე. ხშირად ავადმყოფობდა მთელის თვეობით და ეხლაც კი.

დედოფალმა თვითონ მიაცილა სარალიძე ოთახის კარებამდე და დაემშვიდობა. აბა, რას იფიქრებდა, დედოფალი, რომ ეს უკანასკნელი დამშვიდობება იყო ერთგულ მსახურთან...

მეორე დილას, როცა (დედოფლის მოსამსახურე ქალი) წავიდა მოხუცის გასაღვიძებლად, რათა დედოფალს წაჰყოლოდა წირვაზე, ნახა, მისი უსულო და უკვე გაციებული გვამი, იმ ღამეს გულის დამბლით მომკვდარიყო.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა თავზარი დაეცა დედოფალს ამ ახალი და მწარე უბედურებით. ბედმა ასე მოულოდნელად და შეუბრალებლად წაართვა უკანასკნელი ძვირფასი არსება. ეს უბედურება ვერ აიტანა დედოფალმა და რამდენისამე თვის შემდეგ თვითონაც მიიცვალა.[8]

საფლავი წყალობა იყო ამ ტანჯული ადამიანისათვის...

ეს მოთხრობა დავწერეთ დედოფალ მარიამის დროინდელს, უკვე ოთხმოცის წლის მოხუცის უგ. თ. გრიგოლ ივანეს ძის დადიანის ნაამბობისამებრ.

ხ. დავითიანი.

**მინაწერი:**

**„ბატონის ერთგულებისათვისო?" მთავარმართებელმა, ამ სიტყვებით აღფრთოვანებულმა, არა თუ დასაჯა, არამედ აზნაურობითაც დააჯილდოვა სარალიძეო. ან რა დასაჯერებელია, რომ ისეთი დიდმნიშვნელოვანი პატიმარი განთავისუფლებით დაეჯილდოვებინა? ამასთანავე, ნუ დავივიწყებთ, რომ მეფის თავი რუსებისაგან, სანამ მათ ხელში ჩაუვარდებოდა, შეფასებულ იყო 3000 ოქროდ და, ამას გარდა, მის მკვლელს კი ადგილ-მამულს და ჩინის ბოძებასაც ჰპირდებოდნენ.**

8. 1841 წელს.

9. უნდა იყოს ლევანის ძის.

# იქით მოყოლილი საქართველო

## (ინტერვიუ სტამბოლელ ქართველთან)



**რამდენიმე წლის წინ, ალბათ, ვერც კი წარმოვიდგენდით, ურთიერთკავშირის დამყარებას თუ შევძლებდით აქაური და თურქეთში მცხოვრები ქართველები... ჩვენი დღევანდელი ნომრის სტუმარია სტამბოლელი ბიზნესმენი ნუგზარ (ნაიმ) ირემაძე.**

**— ბატონო ნუგზარ, როგორ მოხვდა თქვენი ოჯახი სტამბოლში?**

— ართვინის მახლობლად, სოფელ მაჭახელაში დავიბადე. ართვინი ქართული მიწა იყო და ბოლშევიკებმა რომ ჩაიგდეს საქართველო, ჩვენ იქით დავრჩით. მე წარმოშობით იმერელი ვარ, დედა ქათამაძე მყავდა, მამა — ირემაძე. მეამაყება, რომ სუფთა ქართველი ვარ. მამა თურქეთსა და საქართველოში დადიოდა და ვაჭრობდა თურმე. მერე კომუნისტებს დაუჭერიათ საქართველოში და გაუციმბირებიათ შვიდი წლით. იქიდან გამოპარულა და ისევ თურქეთში დაბრუნებულა. ორი წლის ვყოფილვარ, მამა რომ გარდაცვლილა. დავვობლდით სამი ძმა და ერთი და. დედა გვპატრონობდა, სანამ წამოვიზრდებოდით. ოჯახში სულ ქართულად ვლაპარაკობდით. შვიდი წლის შემდეგ ვისწავლე თურქული, სკოლაში რომ მივედი. მაჭახელას დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ, მაშინ თერთმეტი წლის ვიყავი, ჩვენი ოჯახი ისტანბულში გადავიდა. ყველა ვმუშაობდით, დღევანდელი დონისათვის რომ მიგვეღწია. ძალიან დაგვეხმარნენ ბიძები, რომლებსაც საკმაოდ კარგი ფინანსური მდგომარეობა აქვთ ახლაც. თურქეთში პატარაობიდანვე იწყებენ შრომას. ჩვენ თან ვსწავლობდით, თან ვმუშაობდით. ჯერ ცელოფანის პარკებს ვაკეთებდით, მერე და მერე ფარხებიც შევიძინეთ და შევქმენით ჩვენი საკუთარი წარმოება. საერთოდ, ბიზნესში გარისკვა უნდა შეგეძლოს, მაგრამ მხოლოდ რისკი როდია საკმარისი, თუ გონივრულად ვერ გარისკავ, ამ საქმეს უნდა მოეშვა. მოკლედ, ერთმა კაცმა ტყავის დიდი პარტია შემომთავაზა, გარკვეული დროის მერე უნდა მიმეცა ვალი. ასეთი პირობა იყო. გავრისკეთ, მეგობრებს ფული ვესესხეთ და ავიღეთ ის ტყავი. მერე ვალიც დავუბრუნეთ და მოგებაც ვნახეთ. ასე ვსაქმიანობდით მე და გიორგი ინაშვილი, ბაზარში გავხსენით ტყავის ნაწარმის მაღაზია „შავლეგო", მერე შენობაც შევიძინეთ სასტუმროსათვის.

**— ქართველებს რაიმე ხელისშემშლელი ხომ არა აქვთ იქაური მთავრობისგან?**

— პირიქით, მთავრობა საქმიან კაცს ყველანაირად ეხმარება, საჭირო კრედიტს აძლევს, ყველანაირად გვეხმარება.

**— თუ გაქვთ ქართული სკოლა, დაწყებითი მაინც?**

— თურქეთში დღეისათვის ქართული სკოლა არ გვაქვს. ქართული ენა ისევ ოჯახებშია შემონახული.

**— ერთმანეთს თუ ხვდებით იქაური ქართველები?**

— წელიწადში ორჯერ ვიკრიბებით. წვეულებას ვმართავთ. ქორწილები, ცეკვები, სიმღერები, ქცევები — ყველაფერი ქართულია. შესვლა კი ბილეთებითაა. ადგილს წინასწარ დავთქვამთ ხოლმე.

**— თუ იცით, დაახლოებით რამდენი ქართველია ამჟამად თურქეთში?**

— ლაზების გარდა, ალბათ, ხუთ მილიონამდე. ამას მიახლოებით ვამბობ. ქართველები ძირითადად ცხოვრობენ ართვინის, ფაცას, უნიას, ბურსა-ინეგერის, ადაფაზარას, იელოვას ვილაიეთებში.

**— ლაზი რამდენია?**

— შვიდ მილიონამდე იქნებიან.

**— აბა, თორმეტი მილიონი ქართველი იქით ყოფილა მოყოლილი!**

— ასეა.

**— თქვენს პირად ცხოვრებაზე რას გვეტყვით?**

— მეუღლე ჯერ არ მყავს. ძალიან მინდა ქართველი მოვიყვანო. რახან აქამდე მოვიტანეთ, არ მინდა, ახლა დავკარგოთ ქართული ენა. ჩემმა შვილებმა უნდა იცოდნენ, ვინ არიან, საიდან მოდიან.

**— იქაური ქართველების ტენდენციაც ასეთია?**

— კი, ძირითადად ისევ ქართველები ქორწინდებიან. ისე, სიყვარულმა ეროვნება არ იცის, თუ შეგიყვარდა — მორჩა.

**— პოლიტიკურ ასპარეზზე თუ მოღვაწეობენ იქაური ქართველები?**

— როგორ არა, ჩვენი პრემიერ-მინისტრი მესუთ ილმეზი ლაზია.

**— თურქულ პასპორტში როგორ გიწერიათ სახელი და გვარი?**

— ნაიმ ირემი. ალბათ მიხვდით, გვარი შემოკლებულია. სახელი კი ნაიმი მერქვა, ნუგზარი სტამბოლში ჩამოსულმა ქართველებმა შემარქვეს. ხოლო სასტუმროსა და მაღაზიის მეორე მფლობელი გიორგი ინაშვილი ჰუსეინ ოზენია.

**— ჩვენთან პრესაშიც იყო, მგონი ტელევიზიაშიც ითქვა, რომ ჩვენგან ჩამოსული ქართველები ზოგჯერ სასურველად ვერ იქცევიან, განსაკუთრებით ზოგიერთი მანდილოსანი. ამაზე რას გვეტყვით?**

— მე სულ სტამბოლში ვარ და იქ, არასასურველი არაფერი მინახავს, არც არაფერი გამიგია. ისე ყველამ იცის, რომ ქართველი ქალი ნამუსიანია, ვერაფერს აკადრებს. სხვათაშორის, ქალსაც გააჩნია, ქართველი იქნება თუ ამერიკელი, გააჩნია, ვის რა უფლებას მისცემს... ისე, კიდევ ვიმეორებ, მე ქართველ ქალებზე ცუდი არაფერი გამიგია.

**— თქვენს მაღაზიაში ფასები როგორია, ვთქვათ, ტყავის ქურთუკს რამდენ დოლარად იყიდის მომხმარებელი?**

— მაგის წინასწარ თქმა ძნელია. განსხვავებულია ხარისხი, მოდელი... ისე, ქართველი რომ მოხვდება სტამბოლში, უმორჩილესად ვთხოვთ, ჩვენთან დარეკოს და სულით და გულით მოვემსახურებით. თუ ჩვენი საქონელი არ მოეწონათ, მივასწავლით, სად წავიდნენ, ვისთან მივიდნენ, რომ არ მოატყუოს ვინმემ... ერთ რამეზე მტკივა გული, ისეთი ქართველებიც არიან, გაიცნობ, პატივს სცემ და მერე ქუჩაში შეხვედრილს გამარჯობას აღარ გეტყვის... თუმცა, ყველა როდია ასეთი.

**— მომავალში. რას აპირებთ? მეწარმეობაზე გეკითხებით.**

— ყველაფერს დრო გვიჩვენებს. ბიზნესში წინასწარ ლაპარაკი არ შეიძლება. ისე კი გვინდა, ყველაფერი გავაფართოოთ.

**— მადლობას მოგახსენებთ საუბრისათვის.**

— თუ შეიძლება ერთ განცხადებას გავაკეთებ ბოლოსათვის, თუ დიდ დროს არ წაგართმევთ.

**— ბრძანეთ.**


**სასტუმრო „კოლხეთისა" და მაღაზია „შავლეგოს" მეპატრონეები ნუგზარ ირემაძე და გიორგი ინაიშვილი გეპატიჟებიან თავიანთ დაწესებულებებში, სადაც თქვენთვის ხელმისაწვდომ ფასებში (საგზოთა მანეთებზეც) შემოგთავაზებენ მაღალხარისხოვან მომსახურებას სასტუმროში, ხოლო მაღაზიაში კი ფართო ასორტიმენტის მაღალხარისხოვან ტყავის ნაწარმს: ქურქებს, ქურთუკებს, ქვედაკაბებს და ასე შემდეგ.**

**მაღაზია „შავლეგოს" მისამართია:**
**თურქეთი, ბეიზით-ისტანბული,**
**ჩარშიქაფი სეფეთჩი ჰან № 1-2.**
**ტელ.: 522 79 42.**
**ფაქსი: 511 39 287**
**ტელექსი: 30383 bocu tr.**

**სასტუმრო „კოლხეთის" მისამართია:**
**თურქეთი, სტამბოლი,**
**ნამიკ ქემალის ქ. № 25.**
**ტელ.: 589 31 78, 589 31 79, 589 58 78.**
**ფაქსი: 511 39 28.**
**ტელექსი: 30383 bacu tr.**


მოამზადა
ლუკა ჩოშახაშვილმა

# გლდანის სუპერმარკეტში



# ნიუ-იორკის უნივერსამში



# სიტყვა ოპოზიციას

## რაც კადრს მიღმა დარჩა...

**ამა** წლის 9 ივლისს მოსკოვის სახალხო დეპუტატთა საბჭოს შენობაში გაიმართა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის, საქართველოს ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმის წევრის, ბატონ გიორგი ჭანტურიას პრესკონფერენცია საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის. პრესკონფერენციის ვიდეოჩანაწერი თითქმის სრული მოცულობით გადაიცა საქართველოს ტელევიზიით, ამიტომ ჩვენს საინფორმაციო წერილში ყურადღებას გავამახვილებთ ძირითადად კადრს მიღმა დარჩენილ დეტალებზე და აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებულ იმ გარემოებებზე, რომელსაც შეიძლება არასწორი, არაობიექტური ინტერპრეტაცია მისცეს ღია თუ ფარული სახელმწიფო იდეოლოგიური ინსტიტუტების ინტენსიური ძალისხმევის შედეგად.

უწინარეს ყოვლისა უნდა გავაბათილოთ ტელეგადაცემის ავტორთა დეზინფორმაცია პრესკონფერენციის მონაწილე ჟურნალისტთა შემადგენლობასთან დაკავშირებით: პრესკონფერენციას ესწრებოდნენ ინგლისელი ჟურნალისტები უილიამ მილინშაპი „ობსერვერიდან" და ბრუს კლარკი „თაიმსიდან", ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკის დირექტორი მოსკოვში მიხაილ ლევბერი, საფრანგეთის საელჩოს პირველი მდივანი თომას ვოკეე, „ფრანს-პრესის" კორესპონდენტი, მოსკოვში ლიტვის მუდმივი წარმომადგენლობის პასუხისმგებელი მუშაკი ოსვალდას მარკიავიჩუსი, ლატვიის გაზეთ „დიანას" კორესპონდენტი, ქართველთა სათვისტომოს წარმომადგენლები, მოსკოვის თითქმის ყველა არაფორმალური და ზოგიერთი ოფიციალური გაზეთისა და საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტი და სხვა. პრესკონფერენციის მსვლელობა სრულად აღბეჭდეს ვიდეოფირებზე საქართველოს ტელევიზიის, რუსეთის ტელევიზიის პროგრამა „ვესტის" და საქართველოს ეროვნული კონგრესის საინფორმაციო სამსახურის გადამღებმა ჯგუფებმა.

პრესკონფერენციის მოწყობის აუცილებლობა განაპირობა დასავლეთის პრესის ფურცლებზე საქართველოსადმი მიძღვნილმა მეტად არასასურველი შინაარსის მქონე მასალებმა, რომელთა არსებობა და სიმრავლე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრსაც არ დაუფარავს თავის სატელევიზიო და საგაზეთო ინტერვიუებში. მაგალითისთვის საკმარისია დავასახელოთ „უოლ სტრიტ ჯორნალი", „ბალტიმორ სანი", „ნიუ-იორკ თაიმსი", „ვაშინგტონ პოსტი" და სხვა.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრის, ამ პარტიის მუდმივი და სრულუფლებიანი წარმომადგენლის, ბატონ გიორგი ზუმბაძის მეცადინეობითა და ჩვენი მოსკოველი მეგობრების, ორგანიზაცია „მემორიალის" სამართალდამცავი კომისიის წევრთა დახმარებით, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუთვლით, ივნისის თვის დასაწყისიდან შევუდექით ზემოხსენებული პრესკონფერენციის გამართვისათვის ზრუნვას.

აღნიშნული ღონისძიება გათვლილი იყო, როგორც ერთი ნაბიჯი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და საერთოდ ქართველი ერის საერთაშორისო ავტორიტეტის გადარჩენისა და ამაღლების გზაზე, რომელიც გასული წლის მიწურულიდან მოყოლებული გრაფიკულად დაღმავალი ტრაექტორიის მრუდის სახით შეიძლება წარმოვადგინოთ და მიმდინარე პერიოდისთვის საკმაოდ კნინი მაჩვენებლებით წარმოჩნდება (ამის არაღიარება საკუთარი თავის მოტყუება იქნება მხოლოდ).

აქვე ვიტყვით, რომ მიზანი მიღწეულად შეიძლება ჩაითვალოს. ამგვარი განცხადების უფლებას გვაძლევს პრესკონფერენციის დამთავრებისთანავე, ასევე შემდგომ დღეებში დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისთვის მებრძოლ ერთა გულშემატკივარი მრავალი ოფიციალური პირის მიერ გამოთქმული მოსაზრებები და შეფასებები, იმ იმედით გამსჭვალული, რომ საქართველოში არსებობს რეალური ძალა, რომელიც არ ეთანხმება და მკვეთრად უპირისპირდება ჩვენი ქვეყნის ოფიციალური ხელისუფლების პოლიტიკას.

ქართული ოფიციალური პრესის ფურცლებზე არცთუ იშვიათად შეხვდებით შემდეგ შეგონებას: „ნურავის იმედი ნუ გვექნება. ჩვენს თავს ჩვენვე მივხედოთ". არ არის ძნელი შესამჩნევი ის „კანონზომიერება", რომ ეს, თითქმის ყოველთვის ხაზგასმული სიამაყით გაცხადებული ფრაზები არსებული ხელისუფლების სამართლიანი კრიტიკისაგან დაცვის დროს გამოიყენება ხოლმე. რა გაეწყობა, როცა კონტრარგუმენტები არ მოგეპოვება, დემაგოგია უნდა მოიშველიო.

პოლიტიკაში მეტნაკლებად გაცნობიერებულ მკითხველს არ სჭირდება მრავალსაფეხურიანი ახსნა-განმარტება იმ ჭეშმარიტების აღიარებისათვის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისკენ მიმავალი გზა, ჩვენი სურვილისაგან დამოუკიდებლად, მოსკოვსა და ვაშინგტონზე გაივლის.

პოლიტიკური ურთიერთობები, უწინარეს ყოვლისა, ინფორმაციის გაცვლას ეყრდნობა. კავშირების სიმტკიცე — ნდობის ხარისხი პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია ინფორმაციის მიწოდების ხარისხთან, რაც გაცემული ინფორმაციის სისრულეს, ანუ შეულამაზებელ და შეუკვეცავ ინფორმაციას გულისხმობს.

როცა ტელეეკრანზე გაატარებ სუბტიტრს: **„პრესკონფერენციას არც ერთი უცხოელი კორესპონდენტი არ ესწრებოდა"**, ნუღარ ელი ინგლისის, აშშ-სა და საფრანგეთის ოფიციალური წრეებისა თუ ლიტველი, ლატვიელი და რუსი დემოკრატების კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას. დროა, ერთხელ და სამუდამოდ გავაცნობიეროთ, რომ ცრუპენტელობას არსად დაფასება არა აქვს, ბრბოზე გათვლილი „ეშმაკობანი" პოლიტიკოსს სიჭკვიანეში არ ეთვლება და მის მოღვაწეობას დადებითი კუთხით ვერ წარმოაჩენს.

გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ ვინც ჩვენ ბეზღობასა და ღალატს გვწამებს, რატომღაც ვერ ამჩნევს, მაგალითად, გაზეთ „ტრუდის" ფურცლებზე ჩვენი და ჩვენი მეგობრების მისამართით გამოთქმულ დაუსაბუთებელ, ანუ ცილისმწამებლურ შეფასებებს...

ჩვენს გამოსვლებში ყოველთვის ვცდილობთ საფუძვლიანად გავაანალიზოთ „პერესტროიკად" წოდებული იმპერიის მოდერნიზაციის გეგმა და ამ კონტექსტში, ფაქტობრივი და ლოგიკური პარალელების გზით, განვიხილოთ ოფიციალური სტრუქტურების და კერძოდ, რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების როლი და ადგილი, მათზე (ნებსით თუ უნებლიეთ) "დაკისრებული" მისია ხსენებული გეგმის „წარმატებით" განხორციელების საქმეში.

რატომ ჩატარდა პრესკონფერენცია მაინცდამაინც მოსკოვის სახალხო დეპუტატთა საბჭოს შენობაში?

ამგვარი გადაწყვეტილება უაღრესად პრინციპული ხასიათის მოსაზრებებზე დაყრდნობით მივიღეთ და ვფიქრობთ, იგი მხოლოდდამხოლოდ დადებით შეფასებას იმსახურებს:

1. „მოსსოვეტის" შენობაში ჩვენი შესვლა ფრიად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ღონისძიების გამართვის მიზნით, ოფიციალური მოსკოვის მიერ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფაქტობრივ აღიარებას ნიშნავდა, რაც, თავის მხრივ, იმ მდგომარეობის (ოკუპაციისა და ანექსიის) აღიარებასაც გულისხმობს, რის სალიკვიდაციოდაც არის მიმართული ჩვენი ძალისხმევა. ამგვარი შეფასება არავითარ შემთხვევაში არ მიეცემა ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენელთა არც ერთ ვიზიტს, (ამის მიხვედრას დიდი პოლიტიკური განათლება არ ჭირდება);

2. საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე მზად ვართ ვილაპარაკოთ ყველგან და ყველა დონეზე, „მოსსოვეტი" იქნება ეს თუ „კრემლი". რაც უფრო მაღალი იქნება დონე, მით უფრო დიდ შედეგს უნდა მოველოდეთ;

3. არასდროს და არავის წინაშე არ დაგვიფიცია, რომ არ გადავლახავდით მოსკოვის ზღურბლს. პოლიტიკური სპეკულაცია, როგორც ხერხი, იმთავითვე ამოღებულია ჩვენი ბრძოლის ტაქტიკური არსენალიდან. ამის გამო არ გვიწევს სიტყვის გატეხვა და არ გვჭირდება ჩვენი მორალური სახის განწმენდაზე ზრუნვა „ორი კრემლის არსებობის" აბსურდული თეორიების თხზვით;

4. ჩვენს ამა თუ იმ ქმედებას ვერ გავთვლით იმ სიმიმოების არსებობაზე ფიქრით, რომ იგი არ აღმოჩნდეს საფუძველი რაიმე დემაგოგიური ხუხულის აშენებისა. მოსკოვში ყველა დარბაზი „მოსსოვეტს" ეკუთვნის, ხოლო ენას მართლაც რომ ძვალი არა აქვს.

დასასრულ, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ჩვენი მიზანია გამოვააშკარაოთ „პერესტროიკის" ჭეშმარიტი არსი, ვაჩვენოთ ე. წ. პარლამენტური გზით დამოუკიდებლობის მოპოვების ილუზიურობა, დემოკრატიულ სამყაროს ავუხსნათ და დავაჯეროთ, რომ ერის და ხელისუფლების ერთმანეთთან გაიგივება არ არის სწორი და სამართლიანი, თუნდაც ეს ხელისუფლება თავისუფალი არჩევნების გზით იყოს მოსული ქვეყნის სათავეში; რომ ქართველი ერი ღირსია ნდობისა, თანაგრძნობისა და თანადგომისა დამოუკიდებლობისთვის, თავისუფლებისთვის ბრძოლის რთულ გზაზე.

**გიორგი კობახიძე**

**საქართველოს ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმის წევრი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საგარეო ურთიერთობათა კომისიის წევრი.**

**18 ივლისი 1991 წ.**

---

**ჩვენ მადლობას მოვახსენებთ გაზეთ „საქართველოს" რედაქციას, რომელმაც სხვა გაზეთებისაგან განსხვავებით არ გვითხრა უარი იმ რეზოლუციების გამოქვეყნებაზე, რომელიც მიღებულ იქნა საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის II საბანაკებო ყრილობაზე 1991 წლის 14 ივლისს თბილისში.**

## რეზოლუცია

**საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ა/წ 26 აპრილის დადგენილებით ხელი შეუწყო სსრკ თავდაცვის სამინისტროს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ წვევამდელთა 15%-ის „ნებაყოფლობით" გაწვევაში საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში.**

**ეს დადგენილება აშკარა წინააღმდეგობაშია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1990 წლის 15 ნოემბერს მიღებულ კანონთან, რომლის მიხედვით საქართველოში მცხოვრები არც ერთი მოქალაქე არ უნდა გაგზავნილიყო სსრკ არმიაში სავალდებულო სამხედრო სამსახურისათვის.**

**საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ზემოთ აღნიშნული დადგენილება ასევე არ შეესაბამება 1991 წლის 9 აპრილს დეკლარირებულ „დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს".**

## რეზოლუცია

**ქართული ეროვნული მოძრაობა ყოველთვის ეყრდნობოდა ჰუმანურ, ქრისტიანულ პრინციპებს ამის ერთ-ერთ ნათელ გამოხატულებას წარმოადგენდა მოთხოვნა პატიმართა კანონიერი უფლების დაცვის შესახებ. რის დაკმაყოფილებაც მოხდა მრავალი საპროტესტო აქციისა და მაშინდელ ხელისუფლებასთან მოლაპარაკების შედეგ. ჯერ კიდევ კომუნისტური მმართველობის პერიოდში, კერძოდ, მიღებულ იქნა დადგენილება, რომ საქართველოში გასამართლებული პატიმრები, სასჯელს საქართველოშივე მოიხდიდნენ. ეს დადგენილება მთლიანად პატიმართა უფლებების დაცვის კომიტეტის დამსახურებაა, რომლის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალას ჩვენი ორგანიზაცია წარმოადგენდა.**

**მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში მოვიდნენ ძალები, რომლებიც ადრე სხვებთან ერთად მოღვაწეობდნენ ამ სფეროში, მათ მიერ გაუქმებულ იქნა პატიმართა უფლების დაცვის კომიტეტი, მიზეზი: საქართველოს ეროვნული ხელისუფლება თვითონ უზრუნველყოფს აღნიშნული პრობლემების სამართლიან გადაწყვეტას. სამწუხაროდ, მოხდა პირიქით, უკანასკნელი შვიდი თვის განმავლობაში არა თუ შეწყდა პატიმართა გადმოყვანა საქართველოში, არამედ უფრო მეტიც, დაიწყო პატიმრების, მათ შორის არასრულწლოვანთა გაყვანა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სასჯელის მოსახდელად, რაზეც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ბოლო სესიაზე სამართლიანი პროტესტი განაცხადა საპარლამენტო ფრაქცია — „დემოკრატიულმა ცენტრმა".**

**ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი არსებული ხელისუფლების ამ ნაბიჯს მიიჩნევს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევად და მოითხოვს:**

**1. შეწყდეს საქართველოში მსჯავრდებულ პირთა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მდებარე საპატიმროებში გაყვანა.**

**2. დაუყოვნებლივ განხილდეს უკვე გაგზავნილ მსჯავრდებულთა დაბრუნება.**

**3. ერთხელ და სამუდამოდ გასაგები უნდა გახდეს ხელისუფლებისათვის, რომ პატიმართა კატეგორიებად დაყოფა დაუშვებელია ელემენტარული სამართლებრივი ნორმებით და წარმოადგენს ადამიანის ღირსების შელახვას.**

**4. ოფიციალურმა ხელისუფლებამ განმარტოს ამ საკითხთან დაკავშირებით მის მიერ გადადგმული ნაბიჯის ნამდვილი მიზეზი.**

**ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი**

---

## ნუ მოვიჭრით მარჯვენას!

**ჩემთვის** სრულიად მოულოდნელი იყო და პირდაპირ რომ ვთქვა — გამაოგნა, საქართველოს ტელევიზიაში ხალხური შემოქმედების მთავარი რედაქციის გაუქმებამ. ასეთი რედაქცია რომ არ არსებულიყო, სწორედ დღეს უნდა შექმნილიყო, რათა გაპარტახებულ და ხულდამძიმებულ საქართველოში თავანკარა ხალხურმა შემოქმედებამ. საკ[illegible] მე, თავისთავადობა გვაპოვნი[illegible], რომ ცხოვრების მამაპაპურ [illegible] დავუბრუნდეთ.

ქართული ტრადიციული ცხოვრების წესის აღდგენაში წამყვანი როლი უნდა შეასრულოს ქართველი ხალხის უძველესმა, თვითმყოფადმა კულტურამ, რომელიც ოდითგანვე ცხოვრების ყველა სფეროს წარმ[illegible]თავდა. სწორედ ამიტომ [illegible] ხელისუფლების წლებში გამიზნულად იდევნებოდა და ხშირად მასხრად იგდებოდა იგი. განსაკუთრებით დაზარალდა ხალხური გამოყენებითი ხელოვნება, მხატვრული რეწვა და შინამრეწველობა. სახალხო შემოქმედების ყველა ეს დარგი „კუსტარულ წარმოებად", პირველყოფილი თემური წყობილებისათვის დამახასიათებელ „შინამრეწველობად" ჩათვალეს. აქედან გამომდინარე, მდარე, მოხალტურე ხელოსნობას გაუთანაბრეს და ნიჭიერ, ხელმარჯვე, შთამომავლობით ოსტატებს გაალოტრებული დევნა დაუწყეს.

ვინაიდან კერძო წარმოება საერთოდ აკრძალული იყო, ამიტომ მოხერხებული საქმოსნები ქმნიდნენ არტელებს, საამქროებს, გაერთიანებებს და ა. შ. გაიხსნებოდა თუ არა საწარმო, არსებული წესის თანახმად, მაშინვე გეგმა დაიშვებოდა, რითაც გზა ეხსნებოდა მიწერებს, შტამპს და ხალტურას. ამრიგად, ხალხური ხელობების გაყალბებამ დაკანონებული სახე მიიღო. ახე წაიბილწა ეს სათუთი დარგი და დაღუპვის პირამდე მივიდა. მიუხედავად, ამ სარფიან საქმეს მრავალი მაქინატორი მიეძალა, რომლებიც ჭეშმარიტი ხელოვნების ვაჭრივით უპირველესად ჯიბეს იხქელებდნენ. ეს სავალალო ვითარება ამჟამადაც გრძელდება, მრავალი ძიძა და დედინაცვალი სისხლიან ათასწლეულებში ნატარებ ხალხურ შემოქმედებას კვლავ ამახინჯებს და ქვენა მიზნებისათვის იყენებს. არცთუ იშვიათად ამ მიმართულებით არსებული სტრუქტურები სრულიად უვარგისია და მათი დაუყოვნებლივ შეცვლა-გაუქმება აუცილებელია, მაგრამ ბედის ირონიაა თუ ეშმაკის წყევლა, ყველა ხელშემშლელი დაწესებულება ჯერჯერობით საზღვრებს და ტელევიზიაში მაინცდამაინც ხალხური შემოქმედების მთავარი რედაქცია გაუქმდა. რედაქცია, რომელმაც საუკუნეთა ძიების შედეგად თავის მოწოდებას მიაგნო, ეროვნული თავისუფლების მოპოვების ჟამს საქმიანობა უნდა გაეფართოებინა, რატომღაც დაიშალა, ისე რომ სპეციალისტებს არაფერი ჰკითხეს. ფართო მკითხველისათვის განგაშის მიზეზი რომ ცხადი იყოს, ძალიან სქემატურად ჩამოვთვლით გასაკეთებელ საქმეს, რომელსაც დღეს თუ არ ეშველა, ხვალ ამაოდ გავირჯებით, ყოველდღიურად ხომ მრავალი ეროვნული საუნჯე ჩვენს თვალწინ ისპობა. ერთ-ერთი მთავარი ჭირისუფალი კი საქართველოს ტელევიზიის ხალხური შემოქმედების მთავარი რედაქცია იყო. არასდროს გამიგონია და არც წამიკითხავს, ოდესმე ჭირისუფალზე ხელი ვინმეს აღემართოს. ახლა რა ხდება?! არა და ხალხურ სიმღერას რომ თავი დავანებოთ, რა ეშველება სახალხო-რელიგიური დღესასწაულების აღდგენას, საერთოდ ეკლესიისა და მეცნიერების შემოქმედებით კავშირს ეროვნულ ტრადიციებთან მიმართებაში, მეტადრე ყოფითი ტრადიციების მართვას, ხალხურ გამოყენებით ხელოვნებას და მხატვრულ რეწვას, მუსიკალურ ფოლკლორს, ეროვნულ საკრავებსა და ქორეოგრაფიას, ქართულ ეროვნულ კულინარიას და სუფრის კულტურას?! თითოეული ეს მიმართულება ხომ ბევრ მნიშვნელოვან დარგადაა დაყოფილი და მთლიანად მოიცავს ჩვენს ყოფას და ყოველდღიურობას, განაპირობებს ქართული ცხოვრების წესს, ეროვნულ კოლორიტს და თვით ქართველობას. ტელევიზიით ყოველივე ამის პოპულარიზაციას ხომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ეს ხომ ჩვენი პრაქტიკით კარგად ვიცით. მეცნიერული შრომები და მონოგრაფიები ვიწრო წრეს არ შორდება, ხოლო კარგად ჩაფიქრებული და მოწყობილი ტელეგადაცემა მაშინვე საერთო-სახალხო კუთვნილება ხდება. სწორედ ამიტომ ხალხური შემოქმედების რედაქციის შესაძლებლობანი განსაკუთრებულად უნდა გაზრდილიყო. მოხდა პირიქით. მართლაც დაუჯერებელი ფაქტია ამ რედაქციის ახლა გაუქმება. ნუ მოვიჭრით მარჯვენას, დაუყოვნებლივ აღვადგინოთ იგი.

**ლევან ფრუიძე**

ეთნოგრაფი, ხალხური შემოქმედების მთავარი რედაქციის კონსულტანტი.

# მოგზაურობა ჯოჯოხეთში

**დავით გორგაძე**

(დასასრული)

ამასაც მოვკარი თვალი, რომ ნი დაცვის უფროსი ხშირად უბრუნებოდა ვ. მიროშნიჩენკოს, ოქოს მხოლოდ მას თვლიდა ს ღირსად. რა ვიცოდი მაშინ, მ დაცვასა და ამ ნაძირალებს რის ფარული შეთანხმება იყო ებული და რომ ამ შეთანხმე მსხვერპლი ჩვენ, „დამპალი ელიგენტი კონტრიკები" ალ ჰნდებოდით.

ი, რა მოხდა.

ცხენიანი ორთვალა ჩვენი ბარ სულ არ გამოჩენილა...

როდესაც პროფესორ ტარნოვ ს გვარი ამოიკითხეს, მან ჩვენი თხო „ხალხის მტრის") სახელით მართა დაცვის უფროსს:

— ჩვენი ნივთები სადღაა?

დაცვის უფროსმა ცივად მიუგო:

— თქვენი ნივთების დარდი მაქვს სწორედ! ჩვენ დღესვე უნ და დავბრუნდეთ უკან. ნივთები არ დაგეკარგებათ, ალბათ ორთვა ლა გაფუჭდა გზაში. თუ შეგვხვდე ბა, დავაჩქარებთ.

კოლონის დაცვის უფროსმა აღარ დაგვაცადა ლაპარაკი.

— გეყოფათ წუწუნი, თქვენ რა, სტუმრად კი არა ხართ მოსული! ნივთებს ხვალ მიიღებთ. ეხლავე მედით კოლონაში, აბა, სწრაფად!

ვ. მიროშნიჩენკო და მისი და ქაშები უკვე ეზოში იდგნენ და შორიდან ღიმილით გვიყურებდნენ. მ ღიმილის მნიშვნელობა მაშინ არ მესმოდა. რა გაეწყობოდა, ამო იკითხეს ჩვენი გვარებიც და შეგ ყარეს კოლონაში. ხუთნი, მათ შორის ჩვენ და ერთი საცოდავი ჩია ქურდბაცაცა დავრჩით უად გილოდ. იძულებული შევიქენით ატაკზე მოვთავსებულიყავით.

თითქმის ყველა ფეხზე იყო. რთ-ერთმა ჩია ტანის, თაღლითი ვალების პატრონმა ქურდბაცაცამ, რომელიც ვ. მიროშნიჩენკოს „პირად მდივნად" ითვლებოდა, გამო აცხადა:

— ბრიგადირის ბრძანებით, საუზმის შემდეგ ვახტზე შევიკრიბეთ. დაგვიანებისათვის დღეს პურზე და წყალზე დაგტოვებთ!

— რომელი ბრიგადირის? — კითხა ინჟინერმა კოჟუხაროვმა. „პირადმა მდივანმა" დაცინვით გადახედა კოჟუხაროვს და ძმაბიჭებს მიუბრუნდა:

— ძმებო, ხედავთ ამ „ფრაერს", მვარიდან ხომ არ ჩამოვარდნი ლა, აქამდე ვერ გაუგია, რომ ჩვენ ვასკა მიროშნიჩენკო ავირჩიეთ ბრიგადირად?

ამასაც მოვესწარით, გარეწარი გვასვეს თავზე. რა გვქონდა თქმელი, „დემოკრატიზმის" პრი ციპი არ იყო დარღვეული, ქურ დებმა ქურდი აირჩიეს. ჯერ საუზ მე არ გვქონდა მოთავებული, ომ ბარაკში მორიგე მცველმა თა ვი შემოყო:

— ტარნოვსკი, გორგაძე, კოჟუ ხაროვ, ბასოვ, ვახტაზე! თქვენი ნივთები ჩაიბარეთ!

თხივემ იმ წუთს მივატოვეთ უზმე და გახარებულებმა მივა შურეთ ვახტას.

გაგვიყვანეს ზონის გარეთ. იქ ცხენიანი ორთვალა და მეჯინიბე ყმარი დაგვხვდა. დავხედეთ ნივთებს და სახტად დავრჩით. ტა რნოვსკის და კოჟუხაროვის ჩე მოდნები არსად ჩანდა. ორთვალა ეგდო ნახევრად დაცარიელებუ ლი ზურგჩანთა; ერთი ჩემოდანი ც გადახსნილი და თითქმის ცარიელი.

დანარჩენი? — ვკითხეთ ჩვენ. მეჯინიბემ ურცხვად გვიპასუხა:

— რა დანარჩენი? სათვალავით ჩაბარეთ თუ? აბა, მიიღეთ, მე შენი თავი არა მაქვს, უკან და გავბრუნდე.

ს რას ეტყოდი, ვისთან იჩივ ლი...

მიროშნიჩენკომ მოხაზა ჩვე გუფის სამუშაო ადგილი და „მდივანს" მიუბრუნდა:

— ესენი აქ დააყენე. თვალი ე, ნიჩაბს ხელი არ გაუშვან. ვენ არც კი გვაღირსა სიტყვა. ლექით ოდნავ გაყინული ტო ოთხკუთხედების ამოჭრას. ვიხედეთ.

სამი თუ ოთხი „ძმაბიჭი" ჩვენ ბრიგადიდან ხმელი ფიჩხისა და ნაძვის ტოტებს, ჯირკებს და ფიჩხს ეზიდებოდა. ჩვენს გარდა ბრიგადის ყველა წევრი უქმად იდგა. აანთეს ცეცხლი. გაჩაღდა თუ არა ცეცხლი, მიროშნიჩენკომ ხელით ანიშნა თავის დამქაშებს, შემოუსხედითო. ყველამ მონახა თავისთვის ჯირკი, გაიძრო ბამბის ხელთათმანები და ცეცხლს მიუჯდა. ვმუშაობდით მარტო ჩვენ, ოთხი „ფრაერი". მეექვსე დღეს სამუშაომდე მისვლაც კი გაგვიძნელდა, მუხლები გვეკეცებოდა.

მოთმინებიდან გამოსულმა მივმართე მიროშნიჩენკოს.

— ამიხსენი ძმობილო, სადაურია? ჩვენ ყოველდღე ვმუშაობთ, თქვენ კი ხელების თბობას უნდებით. ჩვენ 300 გრამ პურს ვიღებთ, თქვენ კი 1300 გრამს. იქნებ მასწავლოთ, რა ჯადოთი და რა მანქანებით?

მიროშნიჩენკოს თავიც არ აუწევია, წარბიც არ შეუხრია, ჩემთვის არც შემოუხედავს, ისე მიპასუხა:

— მუშაობით!

— რომელი მუშაობით, სად, როდის?

— თქვენ შემთხვევით ყურს ხომ არ დაგაკლდათ, ხომ გითხრეს, მუშაობით-თქო! — გამანადგურებელი „თავაზიანობით" გაიმეორა მან.

— ყურთ თუ მაკლია, თვალით ხომ ვხედავ!

— მე და ჩემმა ძმაკაცებმა უკვე მოვიხადეთ სახელმწიფოს წინაშე ვალი, ათი-თხუთმეტი წელია ვთხრით ცხვირით მიწას! ახლა თვითონ სახელმწიფოა ჩვენი მოვალე. თქვენ რა გეთქმით, ჯერ გაგვითანაბრდით და მერე ვილაპარაკოთ. ახლა კი მიბრძანდით, თქვენი თავი არა მაქვს!

ასე დასრულდა ჩემი პირველი ბაასი ამ საკითხზე ვასია-ბრიგადირთან.

რას გავაწყობდი. ინტუიციით ვგრძნობდი, რომ ჩივილი უფროსებთან კარგს არაფერს მიქადდა. ვინმე რომ მომეკლა — გმირობად ჩამითვლიდნენ, რომ გამექურდა — აინუშშიც არ ჩათვლიდნენ, ხოლო რომ მეჩივლა ან უფროსებისათვის მიმემართა, — ამ პირშექრულ ათასთავა გველეშაპს — გარეწართა ბრბოს — საკმაო ძალა და გამოცდილება ჰქონდა, რათა მოესპო ჩემი და ჩემისთანების სიცოცხლე.

მე და ტარნოვსკი კვლავ ტრასაზე გავედით. მოყინული ტორფის ამოსაჭრელად წერაქვების გამოყენება დაგვჭირდა. ხელები გაგვეყინა, ყურები და ცხვირ-პირი გვეწვოდა. ცივი ქარი ძვლებამდე ატანდა. ათ ნაბიჯზე კი, ცეცხლთან, ოცდაექვს „რაინდს" მოეკალათებინა და ხელებს ითბობდნენ. გაავებს მაღლაათი ქურდულ ჟარგონზე, ისმოდა უწმაწური ოხუნჯობა „მრავალსართულიანი" ლანძღვაგინება და ბილწი ხარხარი.

გამახსენდა, როგორ მოექცნენ ეს რაინდები პროფესორ ტარნოვსკის წინადღით, როდესაც მან სცადა კოცონთან მისვლა, გამახსენდა წუხანდელი ბაასი ბრიგადირთან, ამ ნაძირალას ქედმაღლური ტონი, ჩვენი დოვლათის და „ავლადიდების" უსირცხვილო გატაცება, გამახსენდა ეს ყველაფერი... ამ ფიქრებში გართულმა ერთხანს ვერც კი შევამჩნიე, რომ პროფესორმა ტორფზე მუშაობას თავი მიანება, ნიჩბის ტარს ორივე ხელით დაეყრდნო, თავი დახარა და მწარედ, თითქმის უხმოდ ქვითინებდა. მეტისმეტად აველდი.

— წამოდით, ვასილი პეტრეს ძევ, კოცონთან, ეხლავე წავიდეთ!

—დავით სერგის ძევ, რას ბრძანებთ, ხომ იცით ვისთან გვაქვს საქმე, ეს ხომ ნადირთა ხროვაა!

— ნადირებს ნადირთა ენით ეულაპარაკოთ!

ტარნოვსკი გამიძალიანდა, მე მაინც დავიყოლიე. მივადექით ამ კოცონს, რომელსაც ვ. მიროშნიჩენკო და კიდევ ათი თუ თორმეტი „ძმაბიჭი" უსხდნენ და არხეინად ეფიცხებოდნენ.

ვ. მიროშნიჩენკოსთან შევჩერდი, დავადე მხარზე ხელი და მღელვარებისაგან დაძაბული ხმით მივმართე:

— წამოდექი ზეზე, დასვი ეს მოხუცი, ხომ ხედავ, გაიყინა!

„ძმაბიჭები" სახტად დარჩნენ და გაოცებულები მიყურებდნენ, ჩემგან ასეთ „თავხედობას" არ მოელოდნენ უთუოდ.

არ განძრეულა მხოლოდ ვ. მიროშნიჩენკო, არც კი მოტრიალებულა, თითქოს არც გაუგონია ჩემი სიტყვები. დიდი თავდაჭერისა და ხელოვნურად გამომუშავებული აუჩქარებლობის უნარი ჰქონდა ამ ვაჟბატონს. მე ვიგრძენი, რომ ეს პოზა იყო და მისი სიჩუმე შეურაცხყოფად მივიჩნიე, უფრო მეტ შეურაცხყოფად, ვიდრე უშვერი სიტყვა ან მუშტი. ამჯერად მხარზე ხელის დადება არ ვაკმარე, შევარყიე და მუქარით შევყვირე:

— შენ გეუბნებიან, არ გესმის! წამოდექ, თორემ...

ეს კი ველარ მოითმინა მიროშნიჩენკომ, თუმც კვლავ ზურგშექცეული იჯდა, ოდნავ მოაბრუნა სახე და ისეთი მრავალსართულიანი გინება ამოხდა პირიდან, რომელიც არც წინათ და არც იმ ორი წლის მანძილზე, ციხეებში და ეტაპებში მე არ მსმენია. წონასწორობა დავკარგე, ჩემდაუნებურად მარცხენა ხელი კისერში წავავლე, რაც ძალი და ღონე მქონდა (ალბათ დაჭიმული ნერვების წყალობით) შემობრუნებით ავიტაცე და იმავე წუთს მარჯვენა ხელით მუშტი ვთხლიშე სახეში. ხელებგაშლილმა მიროშნიჩენკომ, შიგ შუაგულ ცეცხლში მოადინა ზღართანი. ატყდა აურზაური. „ძმაბიჭები" დაიბნენ. „პახანის" გარეშე არ იცოდნენ როგორ მოქცეულიყვნენ.

გუშაგებმა შაშხანები მოიმარჯვეს და შემოგვიტიეს:

ეს ყველაფერი წამებში მოხდა. ამ ორომტრიალში პირველი მე მოვეგი გონს და დავინახე, რომ მიროშნიჩენკო კვლავ კოცონის შუაგულში ეგდო, ხელები გავარვარებულ მუგუზლებზე დაეყრდნო და ცდილობდა წამოდგომას. ცეცხლი მოედო ყინვისაგან გამშრალ სათბურს და დაბამბულ შარვალს — კაცი იწვოდა. იმავ წუთს მივვარდი, წავავლე ფეხებში ხელი, გადმოვათრიე თოვლზე და თოვლითვე ჩავუქრე ალმოდებული შარვალი და სათბური.

ამ შემთხვევაშიც ჩემი საქციელი ინსტინქტური იყო, ნაკარნახევი ცივილიზებული ადამიანის სისხლსა და ხორცში გამჯდარი კაცთმოყვარეობით.

ვ. მიროშნიჩენკო ფეხზე წამოდგა. ორივე ხელის გული მძიმედ ჰქონდა დამწვარი. წელქვევით ცეცხლს მოესწრო დაბამბული შარვლის საკმაოდ დიდი ადგილის ამოწვა. დამქაშებმა დაინახეს თუ არა თავიანი ბელადი თითქმის უვნებელი, წამსვე მივარდნენ ლაქუცითა და ღრეჭით. ერთმა სათბური გაიძრო, პერანგს საკმაოდ დიდი ნაჭერი მოახია და ხელების შეხვევა სცადა. მიროშნიჩენკომ ისე შეუბღვირა, რომ ეს არამკითხე „ესკულაპი" კუდამოძუებული გაშორდა.

კოცონი ხელად მოიყვანეს წესრიგში. ორმა ბაცაცამ დიდი მოწიწებით დასვა მიროშნიჩენკო ჯირკზე.

სამაგიეროს მოლოდინში მე სამუშაო იარაღის გროვასთან დავდექი და ტარნოვსკიც გვერდში ამოვიყენე. თუკი ვინმე გაბედავდა მოახლოებას, მე განზრახული მქონდა ლომით ან წერაქვით დამეცვა თავი.

მაგრამ ეს არ დამჭირვებია. საოცარია კაცის ბუნება. ნაძირალებმა ძალა იგრძნეს ჩვენს მხარეზე. იგრძნეს და მყისვე შეაბრუნეს კეხი. ჩვენ აღარ ვიყავით გუშინდელი „პარიები", უმწეო „ფრაერები" და „უილაჯო ინტელიგენტები". პირველ წუთებში გამაოცა მიროშნიჩენკოს „ქვეშევრდომთა" ასეთმა საქციელმა, ორთა ჰიდილში ჩაურევლობამ. მერე კი, დიდი ხნის შემდეგ დავუკვირდი ამ სამყაროში მოქმედ „კანონებს", როცა შევისწავლე ბანდიტ გარეწართა დაუწერელი კოდექსი. საქმე იმაშია, რომ მკვლელის, მძარცველის და მით უმეტეს ქურდბაცაცების პრიმიტიული წარმოდგენით „პახანი", ესე იგი უსტაბაში — ყოვლისშემძლეა. მისი ავტორიტეტი შეუვალია. ჩემი იღბალი, რომ მე შევეჭიდე უშუალოდ მას და არა რომელიმე მის ხელქვეითს. ასე რომ არ მომხდარიყო, უსტაბაშის ერთი წარბის შერხევა საკმარისი იქნებოდა, რომ მათ სიცოცხლეს გამოვესალმებინე. ჩვენ ორთა შერკინებაში „ქვეშევრდომები" არ ჩარეულან. ეს არც მოსვლიათ თავში, იმდენად იყვნენ დარწმუნებული მეთაურის ძალაში.

ჩემი იღბალი იყო ისიც, რომ სწრაფად მოვედი გონზე და პირველმა აღმოვუჩინე დახმარება დაცემულს, სწორედ ამან გადაწყვიტა თურმე ჩემდა უნებურად ჩემი ბედი.

ვ. მიროშნიჩენკო მოღუშული იჯდა ცეცხლთან. გუშაგმა სასტვენით ანიშნა მეზობლად მომუშავე ბრიგადას, რომ ჩვენთან რაღაც შემთხვევა მოხდა. ათ წუთში გაჩნდა ცხენიანი ორთვალა, რომელსაც მოჰყვა შეიარაღებული მსროლელი. მიროშნიჩენკო ბანაკის სტაციონარში წაიყვანეს.

მე და ტარნოვსკიმ დავაპირეთ განგვეგრძო მუშაობა, მოვკიდეთ კიდეც ხელი წერაქვებს, მაგრამ მოირბინა „პირადმა მდივანმა."

— დავით სერგის ძევ! სამუშაო ტყეში არ გაგექცევათ, დაყარეთ წერაქვები, ცეცხლს მიუსხედით!

„Вот тебе, бабушка, и Юрьев день", მომაგონდა რუსული ანდაზა. ამასაც მოვესწარი. აქამდე პირში გორგაძეს მეძახდნენ, პირსუკან „ფრაერს" ან „ფაშისტს", ახლა კი სახელი და მამის სახელი გაიხსენეს და ეს ყველაფერი ერთმა მუშტის შემოქნევამ გამოიწვია. ამიერიდან მე „სვოი-დ" მაღიარეს. კოლონაზე დაბრუნებისას ნიჩაბი ჩამომართვეს და ერთ-ერთ ბაცაცას წამოაღებინეს. ერთი სიტყვით, ბანაკის „არისტოკრატებმა" თავის წრეში მიმიღეს. „პრივილეგიური" პირობები შემიქმნეს. რაც მთავარია, ამ შემთხვევის მესამე დღეს „პირადმა მდივანმა", რომელიც ბრიგადირის თანამდებობას ასრულებდა, მე და ტარნოვსკის მეშვიდე ულუფა გამოგვიწერა. იგივე განმეორდა შემდეგ დღეებში. მე და ტარნოვსკი ულუფას ვერ ვერეოდით. მე პური მრჩებოდა, მახორკაზე ვცვლიდი, და ამოვისუნთქე. გარდა ამისა, როცა კი მოვინდომებდით დასვენებას კოცონთან, „ძმაბიჭები" დაუყოვნებლივ გვითმობდნენ ადგილს.

აი, კიდევ ერთი დაუწერელი კანონი. დიდ შეცდომას სჩადიოდნენ ის ინტელიგენტი პატიმრები, რომლებიც ამ ნაძირალებთან დამეგობრების მიზნით ითვისებდნენ მათ ჟარგონს და ჩვევებს. ამ ხელოვნურ ნილაბს ყველა ხედავდა, ხედავდნენ ნაძირალებიც, და თუმცა თითქოს იახლოვებდნენ მათ, პატივს აღარ სცემდნენ და თუ დასჭირდებოდათ, უმუხთლებდნენ კიდეც. ამ ნაძირალებთან ურთიერთობაში ჩვევები და ლექსიკონი არ უნდა შეცვალო, მაგრამ აქაც არ შეიძლება გადაჭარბება, არის ისეთი ნიუანსი, რომლის დაცვა აუცილებელია, თუ გსურს ამ გარეწრების მოთვინიერება და საკუთარი სახის შენარჩუნება. ეს ნიუანსი შენთვის ჩვეული თავაზიანობის ერთგვარ მოდერნიზებას მოითხოვს. არამც და არამც არ უნდა მიმართო ჭარბი ზრდილობის ფორმებს, უნდა დაიცვა სისადავე და უშუალობა — მაგალითად თუ შენ, ინტელიგენტი, ასე მიმართავ გარეწარს: „მეგობარო, მაპატიე, მახორკა ბარაკში დამრჩა, თუ არ დაიზარებ, მასესხე ერთი მოწევა, ხვალ ორმაგად გიზღავო" — აუცილებლად უარს მიიღებ. გარეწარს თვალებშივე შეამჩნევ, რომ შენმა თავაზიანობამ ის შეაშფოთა. ხოლო თუ ასე სთხოვ: „ძმობილო, მომაწევინე ერთი მახორკაო" — იმ წამსვე მოგაწოდებს.

რამდენიმე დღე დავყავით კიდევ მე და ტარნოვსკიმ ვ. მიროშნიჩენკოს ბრიგადაში, თუმცა თვითონ ბრიგადირი არსად შეგვხვედრია. სტაციონარში მოუხდა დიდხანს წოლა.

ბანაკის ხელმძღვანელობამ შეისწავლა ჩვენი დოკუმენტები, დაუშვებლად სცნო ჩვენი ყოფნა ორჯერ და მეტჯერ ნასამართლევი პატიმრების ბრიგადაში და მეორე ბარაკში, ყოფილ კოლმეურნეთა ბრიგადაში გადაგვიყვანეს.

ამ ბრიგადის დიდი უმრავლესობა უკრაინელი გლეხები იყვნენ. მათ ბრალად ედებოდათ მავნებლობა სოფლის მეურნეობაში, ხორბლეულის მოპარვა მოსავლის აღებისას. ამ მუყაითი, გამრჯე გლეხკაცების მავნებლობას მხოლოდ ბრიყვი და უვიცი თუ დაიჯერებდა. პროფესორმა ამოისუნთქა, თავისიანებში იგრძნო თავი, გამოცოცხლდა.

ერთ საღამოს, ნავახშმევს, მე ჩემს საწოლზე ვიწექი, ზემო ნარზე და ვთვლემდი. ბარაკის შემოსასვლელთან ვიღაცამ ჩემი სახელი ახსენა. დღის მორიგემ უჩვენა ჩემი კუთხე. ვიცანი ვ. მიროშნიჩენკო. ხელში რაღაც შეფუთული ეჭირა. წამოვჯექი. არ ვიცოდი სამტროდ მოდიოდა ჩემთან თუ სამოყვროდ. იმ დღიდან, რაც ფათერაკი შეემთხვა, არ მინახავს.

— აქა ხარ? შეიძლება? — ტონში სამტრო თითქოს არა ეტყობოდა რა.

— ამოდი, ეს ტარნოვსკის კოიკაა, წამოწექი.

ამოვიდა, მახორკა გაახვია და მომაწოდა. გავაბოლეთ. უხერხული სიჩუმე მიროშნიჩენკომ დაარღვია.

— სერგის ძევ, რუსული ანდაზა ხომ გაგიგონიათ: „ვინც ძველს გაიხსენებს, თვალები უნდა დაეთხაროს".

— მერე, გაგიხსენა ვინმემ?

— არა, მაგრამ, მოვრიგდეთ, შენ შენი ჭკუა გაქვს, მე ჩემი. თუ მე არ გეტყვი რაც მოხდა, ნურას მკითხავ.

— კეთილი!

— ჩემმა ბიჭებმა ეტაპში გაგფცქვნეს, არა?

— შენი ბიჭები რა შუაში არიან? ეს ხომ იმ არამზადა მეჯინიბემ ჩაიდინა!

— ეხ, სერგის ძევ, ბანაკის ძმაბიჭები ვის გაუყვია! შენ იქნებ გგონია ეტაპის დაცვის უფროსიც არაფერ შუაშია? იმას თქვენი „შმოტკების" ანგარიშში თუმანზე რვა მანეთი ერგო, ჩვენი წილი ნახევარლიტრიანით გაისტუმრა, გაიგე?!

რაც ჩემმა ძმაკაცებმა აგაცალეს, აგინაზღაურებ, ჩემზე იყოს.

— კეთილი, გმადლობ.

— თუ რამე დაგჭირდა, მე აქა ვარ! კაცნი ვართ!

ვასია გამომეშვიდობა და წავიდა.

ეს იყო გამარჯვება, მხეცის მოთვინიერება! ალბათ ბნელი, ბინძური წარსულიდან ვ. მიროშნიჩენკოს წამოჰყვა შენიღბული, გულის სიღრმეში ჩამალული ადამიანური რამ.

**რედაქციისაგან:** ამით ვამთავრებთ დ. გორგაძის მოგონებების პუბლიკაციას. იმედია, დაინტერესებული მკითხველი მომავალში წიგნად იხილავს ყოფილი პოლიტიკური პატიმრის ამ შესანიშნავ მოთხრობას.

ასაწყისი იხ. „საქართველო", 7, 8, 14.

## ორ კვირაში არმომხდარი ამბების ქრონიკა

მთავრობის სახლის მიმდებარე ტერიტორიიდან გატანილ იქნა კარავი (როგორც ამბობენ, საჩხერის მიმართულებით).

□

რუსთაველის პროსპექტიდან ფეხი ამოაკვეთინეს სხვადასხვა წვრილმანი და არცთუ წვრილმანი საქონლით მოვაჭრე ბოშა ქალებს („ციგანკებს").

□

ქ. თბილისის ტროლეიბუსებში გაიხსნა შუა კარებები. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ღონისძიება განხორციელდა წინასწარ გამოუცხადებლად, ანუ მგზავრების შეუმზადებლად, რის გამოც რამდენიმე კაცი ქუჩაში გადაყირავდა.

□

გამოვიდა და ხელისმომწერლებს დაურიგდათ ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა თორმეტტომეულის მორიგი, მეცხრე ტომი (წინა, მეხუთე ტომი 1986 წელს გამოიცა).

# პოლიტიკური ანეკდოტები

ამერიკელი ესაუბრება რუსს:
— მე სამი ავტომანქანა მაქვს. ერთით სამსახურში დავდივარ, მეორეთი სტუმრად, ხოლო მესამეთი ევროპაში ვმოგზაურობ.
რუსი:
— სამსახურში მე ტრამვაით დავდივარ, სტუმრად — მეტროთი.
— ევროპაში?
— ევროპაში — ტანკით.

●

პოლიტმეცადინეობაზე:
— ამერიკელი აგრესორები საბჭოთა კავშირის საშინაო საქმეებში მთელს მსოფლიოში ერევიან...

●

პოლიტმეცადინეობაზე ხელმძღვანელი კითხულობს, თუ რას წარმოადგენს ეუს-ი (CEB).
— ეს არის... აი როცა... მაგალითად, რუმინელები ჩვენთვის მოიპოვებენ თუჯს, ხოლო ჩვენ მისგან სახტვენებს ვამზადებთ მოძმე მონღოლებისათვის. მონღოლი მწყემსები ამ სახტვენებით უსტვენენ და ცხვარს მიერეკებიან...
— და გვაწვდიან ჩვენ ხორცსა და ტყავს?
— არა, ხორცს ისინი თავად მიირთმევენ, ხოლო ტყავს ბულგარეთში აგზავნიან. იქ კი მისგან „დუბლიონკებს" კერავენ.
— და ჩვენ ვღებულობთ „დუბლიონკებს" ბულგარელთაგან?
— არა, „დუბლიონკები" რუმინეთში მიდის...
— და რაღას ვღებულობთ რუმინელებისაგან?—
— ხომ მოგახსენეთ უკვე: თუჯს!

●

სამთავრობო სანატორიუმში პასუხისმგებელ პირთა ცოლები საუბრობენ:
— ჩემი ქმარი მინისტრთა საბჭოში ერთ-ერთი განყოფილების უფროსია...
— ჩემი — ცკ-ში მოადგილეა...
— ჩემი კი ყოველ წელს საზღვარგარეთ დადის. ის საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩინელად მუშაობს.

დაღუპული სამეცნიერო ხომალდიდან მხოლოდ ერთი კაცი გადარჩა, რომელიც ველურებს ჩაუვარდა ხელთ. მათ გადაწყვიტეს ამ კაცის შეჭმა. გადარჩენილი ბევრს ემუდარა კანიბალებს, რათა სიკვდილის წინ რამდენიმე შეკითხვაზე მაინც ეპასუხათ. ველურები დასთანხმდნენ:
— თქვენთან იყო ინდუსტრიალიზაცია?
— არ ყოფილა.
— კოლექტივიზაცია?
— პირველად გვესმის.
— პიროვნების კულტი?
— არა.
— კულტურული რევოლუცია?
— არა.
— დალოცვილებო, მაშ, რადამ გაგამხეცათ ასე?!!

●

მესაზღვრეებმა დააკავეს დისიდენტი, რომელიც საბჭოთა კავშირიდან გაქცევას ცდილობდა.
— რატომ ცდილობდით არალეგალურად გადაგეკვეთათ სსრკ სახელმწიფო საზღვარი?— ეკითხებიან მას სუკში.
— საამისოდ მე ორი მიზეზი მქონდა. პირველი — თუ საბჭოთა ხელისუფლება დაემხობა, ჩემი იდეებისათვის აქ აღგილი აღარ დარჩება...
— კრეტინო! საბჭოთა ხელისუფლება არასოდეს დაემხობა!
— ეს უკვე მეორე მიზეზია.

●

გორბაჩოვი სიტყვას წარმოთქვამს სახალხო დეპუტატთა II ყრილობაზე:
— ამხანაგებო! გასულ წელს ჩვენ იძულებული გავხდით საცალო ფასები გაგვეზარდა არაყსა და კონიაკზე, მაგრამ ამან საბჭოთა ხალხის კეთილდღეობას ვერაფერი დააკლო. ჩვენ გეგმაში გვაქვს უკვე ამ წელს გავზარდოთ ფასები ავეჯსა და ხურსათზე, ამასთანავე ვიმედოვნებთ, რომ ეს გადაწყვეტილებაც ვერაფერს დააკლებს საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობას.
ხმა დარბაზიდან:
— მიხეილ სერგის ძევ! იქნებ დუსტი გეცადათ?

## კუმ ფეხი გამოყო...




„ჩვენ ცალსახად უნდა განვაცხადოთ, რომ საქართველოს კომპარტია მუდამ არ აპირებს ოპოზიციაში დარჩენას. ის მზად არის კვლავ აიღოს ხელში ძალაუფლება, შექმნას მმართველი პარტიული, კოალიციური მთავრობა და წინ წარუძღვეს ერს სრული ეროვნული სუვერენული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და დამოუკიდებლობისაკენ".

„საქართველოს კომპარტიას უფრო დიდი ეროვნული საქმეების ხორცშესხმა ძალუძს, ვიდრე დღევანდელ მმართველ წრეებს..."

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯემალ მიქელაძის ამა წლის 21 ივნისის პლენუმზე წაკითხული მოხსენებიდან.

ნახატი რომან ქარქუსაშვილისა

### სენსაცია სენსაციის მოყვარულთათვის

# მქმსი ათასი წლით ადრე კოსმოსურ მრამდე

ინდოეთის ცენტრალურ არქივში (ქ. დელიში) ინახება წიგნი „ვაიმანიკა შასტრი", რომელიც დაწერილია დაახლოებით 2500 წლის უკან. ევროპელი მეცნიერები გაეცნენ ამ წიგნს 1990 წელს ჩეხოსლოვაკიაში, უძველესი წიგნების გამოფენაზე. იგი დაწერილია ძველი, პრაქტიკულად სმარებიდან გამოსულ სანსკრიტის ენაზე და ამიტომაც დიდი ინტერესი არ გამოუწვევია.

1930 წელს ინგლისელმა ფილოლოგებმა გააკეთეს მისი თავისუფალი თარგმანი და მიაჩნდათ, რომ საქმე აქვთ ინდუსების ფოლკლორულ ლიტერატურასთან. მაგრამ ორმოცი წლის შემდეგ წიგნი მოხვდა უფოლოგის ხელში, რომელმაც იცოდა სანკრიტის ენა და პირველად იქნა გაშიფრული, როგორც უნიკალური საცნობარო დოკუმენტი შორეულ წარსულში (5000–6500 წლების უკან) არსებული საფრენი საშუალებებისა, რომლებითაც დაფრინავდნენ ადამიანები ჰაერში და კოსმოსში.

ის, რაც დღესაა თარგმნილი ამ წიგნიდან, საშუალებას გვაძლევს საკმაო აზრობრივი სიზუსტით დავასკვნათ შემდეგი: იგი წარმოადგენს მოკლე საცნობარო სახელმძღვანელოს პილოტთათვის, რომლებიც ფრენდნენ საფრენ მოწყობილობაზე, რომელსაც „ვიმანებს" უწოდებდნენ.

წიგნი შეიცავს ასზე მეტ თავს. თითოეულში მოცემულია ცნობები განსაზღვრული თემატიკით. ერთ-ერთ თავში ჩამოთვლილია მეცნიერებანი, რომლებიც საჭიროა იცოდეს პილოტმა. ზოგიერთი დასახელებებისათვის ჩვენ დღეს არ შეგვიძლია მოვძებნოთ ეკვივალენტი სხვერო ადამიანთა ინტერესებისა. სხვა თავში ჩამოთვლილია ხელსაწყოები, რომლებიც პილოტის კაბინაშია მოთავსებული. ერთ-ერთი ხელსაწყო რაღაცით გვაგონებს თანამედროვე ხელსაწყოს, რომლის საშუალებითაც შეიძლება სამიზნემდე მანძილის გამოთვლა და მისი მიმართულების განსაზღვრა, ხოლო ამ წიგნში მოხსენებულ ხელსაწყოს ამასთან ერთად შეუძლია მფრინავი ობიექტის (სამიზნეს) კაბინაში ჩახედვა და ეკიპაჟის საუბრის მოსმენაც კი.

მომდევნო თავში აღწერილია ლითონები და მასალები, რისგანაც კეთდება „ვიმანები", მითითებულია ამ მასალების მიღების ხერხები.

არის თავი, სადაც აღწერილია „ვიმანის" კონსტრუქცია. მასში მითითებულია, რომ არსებობს 12 სხვადასხვა ტიპის „ვიმანი", მაგრამ მოყვანილია სამი ყველაზე მარტივი კონსტრუქციის „ვიმანის" აღწერილობა. დანარჩენების შესახებ ავტორი წერს: „...მე არ ვწერ მათი კონსტრუქციის შესახებ არა იმიტომ, რომ არ ვიცი, არამედ იმიტომ, რომ ჯერ ეს ცოდნა არ შეიძლება მივცეთ ადამიანებს, რადგანაც ისინი თავსაც დაიღუპავენ და დედამიწასაც დაღუპავენო".

საწყენი განცხადებაა, მაგრამ დღევანდელი კონტაქტერები (კოსმოსურ ცივილიზაციასთან კონტაქტში მყოფი ადამიანები) თავიანთ თხოვნაზე, აუხსნან კოსმოსური ენერგიის მიღების წყაროები, ამოუცნობი მფრინავი ობიექტებისაგან ღებულობენ ასეთსავე პასუხს.

ჩვენ გვეუბნებიან, რომ თანდათან ჩვენ თვითონვე მივაგნებთ კოსმოსური ენერგიის მიღების საშუალებებს. მაგრამ იმ დროისთვის ადამიანები სწვანაირნი იქნებიან და არ შეეცდებიან ახალი ცოდნა ერთმანეთის წინააღმდეგ მიმართონ. იმ დროისათვის ჩვენ ვისწავლით მშვიდობის დაფასებას და დედამიწის დაცვას.

ერთ-ერთ თავში მოყვანილია ასეთი დახასიათებები: „ვიმანების" ასაგებად საჭიროა სპეციალური მდგრადი და მსუბუქი შენადნობები, რომლებიც გაუძლებენ ცის გამანადგურებელ ძალებს, ასევე:

1. სარკე გარემოდან ენერგიის მიღებისა და შთანთქმისათვის შემდეგში აკუმულირებით.
2. გარე სხვის სარკე, რომლითაც შეიძლება მიადევნო თვალი გარემოში ოდნავ ცვლილებასაც კი.
3. მოწყობილობა ელვის დარტყმების ასაცილებლად.
4. მოწყობილობა ფრენისას „ვიმანის" ფორმისა და ზომის შესაცვლელად.
5. ხელსაწყო ხელოვნური სიბნელის გამოსაწვევად.
6. ხელსაწყო გაუმართაობისა და დარღვევების გამოსავლენად.
7. ხელსაწყო წრიული თავდაცვითი ველის შესაქმნელად, რომელიც იცავს „ვიმანს" მოწინააღმდეგისაგან.

ამასთანავე „ვიმანებს" შეუძლიათ:

1. იმოძრაონ ზიგზაგისებურად, გველივით.
2. გამოასხივონ (ან შთანთქან) ყოველივე სულიერის დამღუპველი გამოსხივება.
3. გახდეს გამჭვირვალე, უჩინარი, დაემსგავსოს ღრუბელს.
4. გამოიყენოს მზისა და საჰაერო ფენების ენერგია.
5. გამოასხივოს სიბნელე.
6. მკვეთრი სხივით დაწვას მოწინააღმდეგის „ვიმანი".
7. ელვისებურად შეინიღბოს (კამუფლიაჟი).
8. გამოსცეს მაპარალიზებელი გამოსხივება.

ამ თვისებებიდან უმრავლესობას ვხვდებით ამოუცნობ მფრინავ ობიექტებთან კონტაქტისას. ბუნებრივია, ისმის კითხვა: ხომ არ არიან ისინი სწორედ „ვიმანები", მით უფრო, რომ 1980 წელს, ინდოეთის ერთ-ერთი შტატის სკოლის მასწავლებელმა „ვაიმანიკა შასტრის" და სხვა უძველესი წიგნების დახმარებით ააგო უბრალო კონსტრუქციის „ვიმანი" და წრიულად დაფრინავდა იმათ თავზე, ვინც მოვიდა ამ სანახაობის საყურებლად. შემდეგ მის ცხოვრებაში ბედი სხვანაირად შეტრიალდა, მან მიატოვა ყველაფერი ეს და სხვაგან გაემგზავრა.

მის შემდეგ ბევრმა სცადა „ვიმანის" აგება, მაგრამ უშედეგოდ.

ა. კულჩიცკი,
„მ-სკი ტრეუგოლნიკ" №2, 1991 წ.


**მკითხველთა საყურადღებოდ!**

მიმდინარე წლის 15 აგვისტოდან იწყება ხელმოწერა 1992 წლის ჟურნალ-გაზეთებზე.

თუ გსურთ ობიექტური ინფორმაციის მიღება ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებზე, გამოიწერეთ თქვენთვის კარგად ცნობილი გაზეთი

**„საქართველო".**

ჩვენი გაზეთის გამოწერა ერთი წლით 12 მანეთი დაგიჯდებათ.



ინდექსი 66447

ფასი 50 კაპ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 35. ტელ: 22-18-01.
იბეჭდება ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საქართველოში"
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქტორის მოადგილე სერგო ჯანაშია